## ამერიკა საქართველოში საბრძოლო მომზადების ახალ ცენტრს ხსნის ③

## საქართველო – ფანჯარა ევროპაში ჩრდილოეთ კავკასიისთვის! ④

# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 16 თებერვალი. 2017 წ. №36 (8173), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ფრთხილად, არ უყუროთ, სასიკვდილოა!



ჯოჯოხეთის იდეოლოგმა ნიკა გვარამიამ თავი „რუსთავი-2“ გაიიგივევა და ეგრეთ წოდებული ოპოზიცია, არასამთავრობოებთან ერთად, ფაქტობრივად, იცავს ამ თვითმარქვია დირექტორს. არადა შუმი ნაციონალი გვარამიას დაცვას არცრა საერთო არა აქვს რა თავისუფალი სიტყვის დაცვასთან.

ეს მავნე ნაციონალების ჩვეული პოლიტიკური ფანდია.

ასე რომ კვირას, 19 თებერვალს, ვითომ „რუსთავი-2“-ის დასაცავად გამოცხადებული ნაციონალების აქცია სინამდვილეში გვარამიას დირექტორობის **დაცვას** ეძღვნება და არა თავისუფალი სიტყვის **დაცვას,** რაც თვითონ სახელმწიფოს მიერ ასე არასოდეს ყოფილა **დაცული** როგორც დღეს.

იმედია, ჩვენი საღი გონების საზოგადოების უმრავლესობა არც ამჯერად წამოეგება ნაციონალების საბედისწეროდ დაჟანგულ იდეოლოგიურ ანკესს.









## „მგლები“ და ყანდურები მღვდლისა და მღვდელ-მთავრის სამოსში! ⑤





გულნარა სტურუა

### ჟამი თვითგვემისა

## რა აწუხებს დღეს ჩვენს ხალხს?! ⑥






### გეოპოლიტიკა

●

## რას სთავაზობს მოსკოვი სოხუმსა და ცხინვალს ვიზა□ ლიბერალიზაციის საპირწონედ?! ⑧

„რაც მოგივა, დავითაო...“:

## რუსული სამხედრო ბაზები აფხაზებს ალიზიანებს!!!





## ლევან იზორია ბრიუსელში შეხვედრებს მართავს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას ხელმძღვანელობით ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში მიმდინარე ნატოს მინისტერიალის ფარგლებში უცხოელ კოლეგებთან ორმხრივ შეხვედრებს მართავს.**

ნატოს შტაბ-ბინაში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა პირველი შეხვედრა ლიტველ კოლეგასთან რაიმუნდას კაროზლისთან უკვე გამართა. ლევან იზორიამ ლიტველ კოლეგას საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. რაიმუნდას კაროზლისმა დადებითად შეაფასა საქართველოს თავდაცვის უწყების რეფორმირების პროცესი და მზაობა გამოხატა, ლიტვამ კიდევ უფრო გააღრმავოს ორმხრივი თანამშრომლობა ქართულ მხარესთან, საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით.

დაგეგმილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის შეხვედრა რუმინელ კოლეგასთან გაბრიელ-ბენიამინ ლესთან, სადაც განხილვის მთავარი თემა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერება იქნება.

დღეს კი ლევან იზორია მონაწილეობას მიიღებს ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაში, რომელიც თავდაცვის მინისტრების ფორმატში გაიმართება. შეხვედრაზე განიხილება ნატოს უელსისა და ვარშავის სამიტების გადაწყვეტილებების, კერძოდ, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) და ახალი ინიციატივების განხორციელების პროცესი, თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები და საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო.

## კახა კახიშვილმა: საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარადგინა

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარადგინა. საკანონმდებლო ცვლილებების მიზანია პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების და სარეჟიმო პირობების დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.**



მინისტრმა დეპუტატებს დეტალურად გააცნო ყველა ის სიახლე, რასაც „პატიმრობის კოდექსში" ცვლილებების შესახებ და მისგან გამომდინარე 19 კანონპროექტი ითვალისწინებს. მან სისტემის მდგრადობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ახალი, გაწერილი რეგულაციები სწორედ ამას უზრუნველყოფს.

## პრეზიდენტის „ამოსავალი და განმსაზღვრელი" მხოლოდ მოსამართლეები არიან!



საქართველოს პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოში მანანა კობახიძის ფიცი დადების ცერემონიას დაესწრო, მოსამართლეობა მიულოცა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლზე ისაუბრა.

**„ის ადამიანები, ვინც განაპირობებენ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების წესს, ბრძანდებიან ბატონი და ქალბატონი მოსამართლეები და მე მინდა, კიდევ ერთელ გამოვხატო ჩემი პატივისცემა ამ ინსტიტუტის მიმართ და იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ჩვენი სახელმწიფოებრიობის გარღმავების გზაზე. თქვენ, ერთი მხრივ, ხართ ჩვენი მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვის გარანტორი და ამავე დროს, ხართ გარანტორი ჩვენი სახელმწიფოს ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პროცესის, ამავე დროს ხართ მონაწილე მნიშვნელოვანი პოლიტკური ცხოვრების, რომელიც მიმდინარეობს სწორედ თქვენი გადაწყვეტილებების ირგვლივ",** — განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა მხარდაჭერა გამოხატა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე, მთლიანად მოსამართლეთა კორპუსის მიმართ და მათ თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

**„მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ სადაც იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება ჩემს მიერ სამსჯელო პოლიტიკურ პროცესებს, სწორედ თქვენი გადაწყვეტილებები იქნება ჩემთვის ამოსავალი და იქნება ჩემთვის განმსაზღვრელი",** — დასძინა მარგველაშვილმა.

## რომან გოცირიძე ამიერიდან გესლის ნთხევას „მოერიდება"...



საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარმოდგენილი რომან გოცირიძის კანდიდატურა ერთხმად დაამტკიცეს.

კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე უძღვებოდა, მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" პირველი მოსმენით განიხილეს. კომიტეტის წევრებმა გუშინდელ სხდომაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებაც იმსჯელეს. სხდომაზე განხილული საკითხები პარლამენტის პლენარული სხდომას წარედგინება.

## მამუკა ახვლედიანი დაკითხვაზე დაიბარეს

**შს სამინისტროს ინფორმაციით საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი დაკითხვაზეა დაბარებული.**

საქმე ეხება იმ აუდიოჩანაწერს, რომელიც ასახავს ახვლედიანისა და „რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორის საუბარს. შეგახსენებთ, ნიკა გვარამიამ გუშინ განაცხადა, რომ ჩანაწერი ავთენტური არ არის და ამ საუბარში კიდევ მესამე პირიც მონაწილეობს.

## თბილისმა 2016 წელს 15,3 პროცენტით მეტი ელექტროენერგია მოიხმარა

**2016 წლის მონაცემებით კომპანია „თელასმა" 2 მილიარდ 788,7 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 15,3% (369,3 მლნ. კვტ/სთ-ით) აღემატება 2015 წლის მოხმარების მოცულობას (2 მილიარდ 419,4 მილიონი კვტ/სთ). ელექტროენერგიის მოხმარების მოცულობის მატება ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებამ და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია.**

2015 წელთან შედარებით 2016 წელს 15,7%-ით (355,8 მლნ. კვტ/სთ-ით) გაიზარდა მომხმარებელზე დარიცხული ელექტროენერგიის რაოდენობა და 2 მილიარდ 629,3 მილიონი კვტ/სთ-ი შეადგინა. ამ მაჩვენებლის ზრდა ელექტროენერგიის მოხმარების მატებამ განაპირობა.

სს „თელასის" აბონენტთა რაოდენობა 2016 წელს 2015 წელთან შედარებით 3,5%-ით (19,7 ათასი აბონენტით) გაიზარდა და 578,1 ათასი აბონენტი შეადგინა, საიდანაც 522,7 ათასი — ფიზიკური პირია, ხოლო 55,4 ათასი — იურიდიური პირი. 2016 წლის მონაცემებით კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძემ 5 082 კმ შეადგინა, რაც 5,3%-ით (256 კმ-ით) აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს (4 826 კმ). კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე ქსელის განვითარების, აბონენტთა რაოდენობის მატების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზების სამუშაოების ჩატარების შედეგად გაიზარდა.

# მაია რჩეულიშვილს ბრალი დაუმძიმდა

**„ცენტრ-პოინტის" საქმეზე დაკავებულ მაია რჩეულიშვილს ბრალი დაუმძიმდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

**„მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ 2017 წლის 15 თებერვალს საქართველოს პროკურატურამ დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა შპს „ცენტრ-პოინტ ჯგუფის" დამფუძნებელი და დირექტორი მაია რჩეულიშვილი და შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთ"-ის საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი უფროსი ქეთევან ჟორდანია, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.**

**ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის ბოლოს, შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთ"-ის დირექტორი მაია რჩეულიშვილი, მენაშენეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დასაუფლებლად, შეუთანხმდა ამავე საზოგადოების საორგანიზაციო განყოფილების უფროსს - ქეთევან ჟორდანიას, რათა ეს უკანასკნელი დაკავშირებოდა შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთის" მშენებარე ობიექტების მენაშენეებს და იმ მოტივით, თითქოს მათი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის და მშენებარე ობიექტზე კომუნიკაციების შესაყვანად საჭირო იყო დამატებითი თანხების მობილიზაცია, მოეთხოვა თითოეული მათგანისთვის 1 870 ლარის გადახდა. მ. რჩეულიშვილის დავალების შესაბამისად, ქ. ჟორდანია დაუკავშირდა ობიექტის მენაშენეებს, მოსთხოვა მათ და 2014-2016 წლების განმავლობაში შეატანინა ჯამში 258 092 ლარი, საიდანაც მიზნობრიობით, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის გადარიცხული იქნა მხოლოდ 21 915 ლარი, ხოლო დარჩენილ თანხას — 236 177 ლარს ქეთევან ჟორდანიას დახმარებით დაეუფლა მაია რჩეულიშვილი.**

**საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მოცემული ეტაპისთვის „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დამფუძნებლისა და დირექტორის მაია რჩეულიშვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში იხილება ორი სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით (ხუთი ეპიზოდი) სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით და ასევე სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტები (ე.წ. „აჭარის მაგნოლიის" ეპიზოდი).**

**მიუხედავად იმისა, რომ მაია რჩეულიშვილს ბრალდების ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული ჰქონდა გირაო 250 000 ლარის ოდენობით და მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმე 2014 წლის ნოემბერში წარიმართა თბილისის საქალაქო**



**სასამართლოში, მან კვლავ განაგრძო მოქმედება მენაშენეთა კუთვნილი თანხების მოტყუებით დასაუფლებლად და ეპიზოდი, რის გამოც მას წარედგინა ბრალდება, ჩადენილია გირაოში ყოფნის პერიოდში.**

**მაია რჩეულიშვილის და ქეთევან ჟორდანიასთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით".**

საქართველო თავდაცვას აძლიერებს!

# ამერიკა საქართველოში საბრძოლო მომზადების ახალ ცენტრს ხსნის



საქართველოს ტერიტორიაზე, ევროპაში აშშ-ის არმიის გაერთიანებული მრავალეროვანი მზადყოფნის ცენტრის (JMRC) მსგავსი, სასწავლო საბრძოლო ბაზის მშენებლობას, მიმდინარე 2017 წელს ჩაეყრება საფუძველი. ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ განაცხადა, რომელმაც გასულ კვირას, JMR ცენტრი გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსში მოინახულა და ეს თემა აშშ-ის არმიის ევროპული ჯარების სარდალთან, გენერალ-ლეიტენანტ ბენ ჰოჯესსთან ერთად განიხილა. გუშინ კი ამ საკითხზე უკვე თბილისში, Cubic Global Defense-ს პრეზიდენტ ბრედ ფედმანს შეხვდა.

ჯერჯერობით, ახალი სასწავლო-საბრძოლო ცენტრის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ცენტრი ჰოჰენფელსის JMRC ბაზასთან შედარებით, უფრო მცირე მასშტაბის იქნება. შესაბამისი აღჭურვილობით კი ქართულ მხარეს Cubic Global Defense ჯგუფი მოამარაგებს. სასწავლო ცენტრის ამოქმედების შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებს აღარ დასჭირდებათ გერმანიაში გამგზავრება და სამშვიდობო მისიებში გადასროლისწინა მომზადების დასკვნით კურსს უკვე სამშობლოში გაივლიან.

თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ამბობს: **„ვგეგმავთ მნიშვნელოვანი სასწავლო ცენტრის მშენებლობას. უკვე წელს ჩაეყრება ამას საფუძველი. ბუნებრივია, ამერიკელი მრჩევლების აქტიურობა, მათი ამ წვრთნებში ჩართულობა უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ლაპარაკია ასევე, შესაბამისი აღჭურვილობის შეძენაზე“.**

დღემდე მოქმედი პრაქტიკის მიხედვით, სამშვიდობო მისიაში გამგზავრებამდე, შეიარაღებული ძალების ბატალიონები გადასროლისწინა ოთხთვიან შუალედურ სწავლებას საქართველოს სამხედრო ბაზებზე „ალგეთზე“, „კრწანისსა“ და „ვაზიანში“ ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა ჯგუფის მეთვალყურეობის ქვეშ გადიან, ამის შემდეგ კი, დასკვნითი ერთთვიანი კურსის დასასრულებლად, ქართული ბატალიონების გერმანიაში, ჰოჰენფელსის JMRC ცენტრში გადასროლა ხდება.

ბავარიის მხარეში ამერიკული სამხედრო საწვრთნელი ბაზა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან არსებობს, თუმცა გაერთიანებულ მრავალეროვან მზადყოფნის ცენტრად მხოლოდ 2005 წლიდან გადაიქცა. ჰოჰენფელსის საწვრთნელი ბაზა 163 კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული, მოიცავს 1345 საწვრთნელ შენობას, გააჩნია 319 კილომეტრის საწვრთნელი გზა, მათ შორის მძიმე სამხედრო ტექნიკისთვის და მცირე მასშტაბის აეროდრომი.

ავღანეთში ISAF-ის მისიის დაწყების შემდეგ, ჰოჰენფელსის ბაზაზე იმიტირებული ავღანური ქალაქი გაჩნდა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამხედროები ავღანეთის მოსახლეობასთან კომუნიკაციის დამყარებას ეუფლებიან და სწავლობენ თალიბების საწინააღმდეგო ოპერაციების წარმოებას. ამჟამად ჰოჰენფელსში, საქართველოს არმიის მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი იმყოფება.

ავღანეთი JMRC-ის მხოლოდ ერთი მიმართულებაა. ჰოჰენფელსში მთელი წლის მანძილზე, ამერიკელი ინსტრუქტორების ხელში, ათასობით სხვადასხვა ეროვნების სამხედრო მოსამსახურე გადის მზადებას: მათ შორის, ყოფილი საბჭოთა ბლოკიდან: უკრაინელები, ალბანელები, სერბები, სლოვენიელები და მოლდოველები.

ჰოჰენფელსის საწვრთნელი ბაზის მეთაური, ბრიგადის გენერალი ანტონიო აგუტო, რომელიც მინისტრმა ლევან იზორიამ საქართველოში მოიწვია, ამბობს, რომ მზად არის, მსგავსი საბრძოლო ცენტრის შექმნაში ჩვენ ქვეყანას დახმარება აღმოუჩინოს: **„გერმანიაში განთავსებული აშშ-ს მე-7 არმიის წვრთნების სარდლობა მზად არის, დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს საქართველოს შეიარაღებული ძალების განათლების სარდლობას საბრძოლო წვრთნების ცენტრის განვითარებაში. მრავალი ჩვენი ოფიცერი, სერჟანტი და ჯარისკაცი მოწადინებულია, თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში“.**

საქართველოს ტერიტორიაზე ახალი სასწავლო-საბრძოლო ცენტრის მშენებლობა „თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის“ (Readiness Program of Georgian Armed Forces) ნაწილია, რომელზეც შეთანხმება 2016 წლის ივლისში, თბილისში, სახელმწიფო მდივან ჯონ კერის ვიზიტის დროს შედგა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მასპიძლობდა ამერიკელ მრჩევლებს, რომლებიც „თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის ჯგუფსა“ (DIB) და „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ჯგუფს“ (GDR) წარმოადგენდნენ. მათ შორის იყო Cubic Global Defense, ეს ჯგუფი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 2003 წლიდან უწევს დახმარებას.

„Radio Voice of America“ (აშშ)



## შსს-ს სასაზღვრო პოლიციას 28 მესაზღვრე შეემატა

**შსს-ს აკადამიაში სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება ჩატარდა.**

ღონისძიებას შსს-ს აკადემიის რექტორი გივი მიქანაძე და სასაზღვრო პოლიციის უფროსი დათო ნიკოლეიშვილი დაესწრნენ.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ზოგადსამართლებრივ მომზადებას, სპეციალურ სასაზღვრო პოლიციურ-სამართლებრივ მომზადებას, სპეციალურ სასაზღვრო პოლიციურ მომზადებასა და სპეციალური სასაზღვრო პოლიციური პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სწავლების ხანგრძლივობა ხუთი თვეა. პროგრამა ოთხთვიან თეორიულ და ერთთვიან პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავს. პროგრამის მიზანია სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის ახალი კადრების მომზადება, საბაზისო ცოდნის მიღება და უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც პროფესიული საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის არის საჭირო.

## პირდაპირი რეისები ქუთაისიდან დიდ ბრიტანეთში

**ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმსხვილესი, დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია Wizz Air ქუთაისსა და ლონდონს (ლუტონი) შორის პირდაპირ ავიამიმოსვლას იწყებს.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, ავიარეისების ოპერირება 18 ივნისიდან დაიწყება, კვირაში ორი სიხშირით, ყოველ ხუთშაბათს და კვირას. ყველა ავიარეისი სრულდება 180-ადგილიანი „აირბას A320“ და 230-ადგილიანი“ აირბას A321“ ტიპის საჰაერო ხომალდებით.

მგზავრებს უკვე შეუძლიათ ავიაბილეთების შეძენა ავიაკომპანიის საიტზე www.wizzair.com მხოლოდ 105.99 ლარი/34.99 ევროდან. დაბალბიუჯეტური ავიარეისი ხელს შეუწყობს საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის ტურისტული, სავაჭრო და საქმიანი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას და შესანიშნავი არჩევანია როგორც ტურისტული, ასევე ბიზნესმგზავრებისთვის.

**„რეგიონის მიმართ ჩვენი ინტერესის გათვალისწინებით, კვლავაც გავაგრძელებთ ნაყოფიერ თანამშრომლობას ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან და სამომავლოდ ქართველ მგზავრებს, მათი მოთხოვნების გათვალისწინებით, შევთავაზებთ კიდევ უფრო მეტ საინტერესო შესაძლებლობას“** — განაცხადა „ვიზეარის“ კომუნიკაციების მენეჯერმა სორინა რაციმ. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს „ვიზეარი“ საქართველოში მოემსახურა 168,000 მგზავრს და დააფიქსირა ყოველწლიური 35%-ანი ზრდა, რითაც ხელი შეუწყო ადგილობრივ საავიაციო და ტურისტულ სფეროებში დასაქმებას, ასევე ადგილობრივ ბაზარზე დამატებით 126 სამუშაო ადგილის შექმნას.




## ჩამორთმეული სასტუმრო და შეჩერებული 8-მილიონიანი ინვესტიცია ოზურგეთში

**ქალაქ ოზურგეთის მერიის შესაბამისი სამსახურები სასტუმრო „გურიას“ მფლობელს“ ზურაბ ჩხაიძეს მის საკუთრებაში არსებული აღნიშნული ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების საშუალებას არ აძლევს.**

ქალაქის მერის დავალებით, მის უწყებაში არსებულმა შესაბამისმა სამსახურებმა სწორედ მაშინ დაიწყეს მეპატრონესთან საკუთრების უფლების ჩამორთმევის პროცესი, როცა ეს უკანასკნელი ქალაქ ოზურგეთის ცენტრში, ოზურგეთში 8-მილიონიანი პროექტის განხორციელებას, საერთაშორისო დონის სასტუმროს მშენებლობას იწყებდა. სასტუმრო „გურიას“ შენობა, რომელიც აუქციონის წესით, ბიზნესმენმა ზურაბ ჩხაიძემ 2015 წელს შეიძინა, ხელახლა უნდა გამოიტანონ აუქციონზე. ამის შესახებ ინფორმაცია საკრებულოს დეპუტატებთან, მიმდინარე თვის დასაწყისში, მერიის წარმომადგენელმა გაავრცელა.

მერიის ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა მერაბ წივწივაძემ ქალაქის მერიის პოზიცია გააჟღერა: **„ჩამოერთვა მფლობელს (ზ. ჩხაიძეს) ეს შენობა (სასტუმრო „გურია“) და ისევ გამოვაცხადებთ აუქციონს. ჩხაიძის მიერ აუქციონზე გადახდილი თანხა 100 ათასი აშშ დოლარი მას უკან არ დაუბრუნდება და შეუსრულებელი ვალდებულებების გამო, ჯარიმის სახით დაეკისრება 94 ათასი ლარის გადახდა“** — თქვა წივწივაძემ ქალაქის საკრებულოს ერთ- ერთ სხდომაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, სასტუმრო „გურიას“ ხელში ჩაგდება ქალაქ ოზურგეთის მერს ბეგი სიორიძეს სურს.სწორედ მისი გადაწყვეტილებით ჩამოერთვა მფლობელს შენობა.

## დაცული ტერიტორიებს საქართველოს ბანკი ეხმარება

**საქართველოს ბანკმა, საქართველოს წამყვანმა ბანკმა, „კავკასიის ბუნების ფონდთან“ გააფორმა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც საქართველოს ბანკის ფონდის, „სიცოცხლის ხის“ მეშვეობით, დაცული ტერიტორიების მხარდაჭერისთვის 100,000 აშშ დოლარის მოცულობის დაფინანსებას გამოყოფს. ხსენებული თანხა მოხმარდება საქართველოში არსებული 10 დაცული ტერიტორიის: ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხის, თუშეთის, ვაშლოვანის, მტირალას, ჯავახეთის, ყაზბეგის, ალგეთის, კინტრიშის და ფშავ-ხევსურეთის მოვლასა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას.**

გარემოს დაცვაზე ზრუნვა საქართველოს ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით, 2008 წლიდან დღემდე, ბანკი გარემოს დაცვით სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. ბანკი „კავკასიის ბუნების ფონდთან“ რამდენიმე წელია, თანამშრომლობს და 2017 წელს გამოყოფილი დაფინანსების ჩათვლით, ჯამში 500,000 აშშ დოლარის მოცულობის ფინანსური მხარდაჭერა აქვს გაწეული დაცული ტერიტორიების მოვლისა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისთვის.



◎ წარდგინება

# ეს წიგნი ხელს შეუწყობს პროექტს - „აწარმოე საქართველოში“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც წარმოდგენილი იყო აკადემიკოს **ავთანდილ კორახაშვილის წიგნის — „აგროტექნოლოგიური ნორმატივები“** წარდგინება. მომხსენებლის განმარტებით, ცნობარი, რომელიც განკუთვნილია ფერმერებისა და ბიზნესმენებისათვის, წარმოადგენს პირველ მცდელობას ინფორმაციულ-ნორმატიული ლიტერატურის შესაქმნელად, რომელზეც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება. მასში მოცემულია მხოლოდ ციფრობრივი მასალა მემცენარეობასა და მეცხოველეობაზე, აგროტექნოლოგიებსა და ტექნოლოგიურ პარამეტრებზე. წიგნში თავმოყრილია 250-ზე მეტი ცხრილი და განკუთვნილია სოფლის მეურნეობაში და სხვა ეკონომიკურ სექტორში დასაქმებული ფერმერების, არქიტექტორების, მშენებლების, სტუდენტების, ბიზნესმენებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტებისათვის, რომელთაც შეხება აქვთ აგრარულ წარმოებასთან, სანორმატივო, საფინანსო და საანგარიშსწორებო საქმიანობასთან. ცნობარის უმთავრესი მიზანია, წარმოაჩინოს ის ძირითადი ინფორმაცია და პარამეტრები, რომლებიც შექმნის წინაპირობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის. **წიგნი მნიშვნელოვნად**




**შეუწყობს ხელს პროექტის — „აწარმოე საქართველოში“ განვითარებას.**

დასასრულ, აზრი გამოთქვეს და წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს **აკადემიკოსებმა: გიორგი კვესიტაძემ, ოთარ ნათიშვილმა, თემურ ნანეიშვილმა, ფრიდონ თოდუამ, როინ მეტრეველმა, ერეკლე გამყრელიძემ, ირაკლი ჟორდანიამ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ აბაშიძემ**. ავთანდილ კორახაშვილის წიგნმა „აგროტექნოლოგიური ნორმატივები“ დიდი მოწონება დაიმსახურა. წიგნის აქტუალურობასთან დაკავშირებით გამოითქვა სურვილი მისი ტირაჟირების გაზრდაზე.

**ნათია ვადაჭკორია,**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესსამსახური**

◎ სოციალური ყოფა

# ქართველი მომხმარებელი სავაჭრო ცენტრებში ვაჭრობის უნარებს იძენს

**ვაჭრობის სფერო საქართველოში ერთ-ერთი წამყვანია და მისი ბრუნვა ეკონომიკური სფეროების სამეულში შედის. უძრავი ქონების თემაზე მომუშავე კვლევითი კომპანიის, Colliers International Georgia-ს, ანალიზის თანახმად, მომხმარებელი და ვაჭრობა თანდათან სავაჭრო ცენტრებში „შედის“. არაორგანიზებულ ბაზრობებსა და ცალკეულ მაღაზიებში ვაჭრობაზე მომხიბვლელი მომხმარებლისთვის ისეთი ტიპის სავაჭრო სივრცეებია, სადაც სხვადასხვა სახის პროდუქციის შეძენას ერთ ჭერქვეშ შეძლებს.**



კომპანიის კვლევის თანახმად, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა მედიაში, 2016 წლის მეორე ნახევარში სავაჭრო ცენტრების მიწოდება 10 %-ით გაიზარდა, ხოლო მომავალი ექვსი თვის ჭრილში ამავე მაჩვენებლის 43 %-იანი (დაახლოებით, 110,000 კვ.მ.) მატებაა მოსალოდნელი.

ასეთი დასკვნის საშუალებას კომპანიას თბილისის სავაჭრო ფართობებისა და ცენტრების მუშაობის შემდეგი მონაცემები აძლევს: კომპანიის ინფორმაციით, მნიშვნელოვანი აქტივობა შეინიშნება გლდანში, სადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში 40,000 კვ.მ ჯამური ფართის სამი თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრი გაიხსნა. აღნიშნულ უბანში საცალო ვაჭრობის ბაზარზე მაღალი კონკურენცია ფიქსირდება.

Colliers-ის მონაცემებით, 2016 წელს, ჯამურად, 30,000 კვმ.მ. ფართი გაქირავდა, აქედან 33 % - საყოფაცხოვრებო საქონლისა და ავეჯის მომწოდებელ კომპანიებზე.

განსხვავებულია სავაჭრო ფართზე მოთხოვნა ცალკეული რეგიონებისა და უბნების მიხედვით. მაგალითად, კომერციულად აქტიურ ქუჩებზე (პეკინის ქუჩა, რუსთაველის, ჭავჭავაძისა და აღმაშენებლის გამზირები) ძირითადი მოთხოვნა შემდეგ კატეგორიებზეა: ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (45 %), მომსახურების სფერო (21 %) და კვების ობიექტები (20 %).

საინტერესოა ისიც, რომ სავაჭრო ცენტრებში, ანუ კომპაქტურ სავაჭრო სივრცეებში, ფართის იჯარის ღირებულება იზრდება, მაშინ როცა, ზოგადად, მაღაზიების ფართობების იჯარის ღირებულება ქალაქში იკლებს:

გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, საშუალო შეწონილმა იჯარამ სავაჭრო ცენტრებში 16 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4 %-ით აღემატება 2016 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს. კომერციულად აქტიურ ქუჩებზე საშუალო შეწონილი იჯარა 3 %-ით შემცირდა და 32 აშშ დოლარს გაუტოლდა.

შესაბამისად, სავაჭრო ცენტრებში ვაკანტურობის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ შემცირდა და 13 %-ს გაუტოლდა, ანალოგიური მაჩვენებელი კომერციულად აქტიურ ქუჩებზე 1 %-ით გაიზარდა და 9 % შეადგინა.

როგორც ზემოთაც ვთქვით და მოცემული სტატისტიკაც ცხადყოფს, Colliers International Georgia-ს ანალიზის თანახმად, ბოლო წლებში თანამედროვე სავაჭრო ცენტრების გახსნამ ეტაპობრივად შეცვალა მომხმარებლის შოპინგის ჩვევა. ერთიანი სივრცე, სადაც საქონლისა და სერვისების სრული სპექტრია თავმოყრილი, მეტად კომფორტულია მომხმარებლისთვის, რაც სავაჭრო ცენტრების პოპულარობას განაპირობებს. ბოლო წლებში ქართულ ბაზარზე შემოსული საერთაშორისო ბრენდების უმრავლესობა სწორედ სავაჭრო ცენტრებში ხსნის მაღაზიებს, შესაბამისად, ქუჩის ვაჭრობა თანდათან კარგავს აქტუალობას შოპინგისთვის და სხვა პროფილით ვითარდება.

**ნინო ევგენიძე**

◎ ევროლიბერალიზაცია

# საქართველო - ფანჯარა ევროპაში ჩრდილოეთ კავკასიისთვის!

**2017 წლის მარტიდან საქართველოს ბიომეტრიული პასპორტების მქონე მოქალაქეები შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ შესვლას და იქ 90 დღემდე ვადით დარჩენას შეძლებენ. თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირის 22 სახელმწიფოში, ასევე ამ ორგანიზაციის არაწევრ ისლანდიაში, ლიხტენშტეინში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში იქნება შესაძლებელი. უვიზო რეჟიმი იმოქმედებს საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონის წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან — ბულგარეთთან, კვიპროსთან, რუმინეთსა და ხორვატიასთანაც.**

ასევე უვიზოდ შეძლებენ ამიერიდან ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლას ჩრდილოეთ კავკასიის მოქალაქეები, რომლებსაც ქართული პასპორტები ექნებათ. ბევრი ჩერქეზი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა 2011 წელს მი**ლა დამჭირდება, რა თქმა უნდა, ამ ახალი სისტემით ვისარგებლებ“.**

ადიღი საზოგადო მოღვაწე ასკერი თვლის, რომ საქართველომ ბოლო ათწეულების განმავლობაში სერიოზული რეფორმები განახორციელა, რაც რუსეთში ბევრის მიერ სასწაულებრივ, მოულოდნელ ცვლილებებად აღიქმება, თუმცა შედეგს ყველა აღიარებს:

სამაგიეროდ, რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ მგზავრობა საქართველოში: ჯერ კიდევ 2010 წელს ოფიციალურმა თბილისმა რუსეთის მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გააუქმა. აი, რუსეთის მხრიდან კი საპასუხო ნაბიჯი ამ დრომდე არ გადმოდგმულა. 2016 წელს პრეზიდენტმა პუტინმა სავიზო რეჟიმის სრულად გაუქმების შესაძლებლობა არ გამორიცხა, თუმცა




იღო, თვლის, რომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი — ეს არის იმედი ფანჯრისა დიდ სამყაროში. „...ვინც რუსეთის დატოვებას მოინდომებს, აქეთ აიღებს გეზს“.

ნალჩიკის მკვიდრი, ამჟამად თბილისში მცხოვრები 29 წლის თემური თვლის, რომ ისინი, ვინც რუსეთის დატოვების შესაძლებლობას ეძებს, ამიერიდან საქართველოს პლატფორმად გამოიყენებს:

**„ხალხი, რომელიც საქართველოს განვითარების პერსპექტივას ადრეც ხედავდა, ახლა ამაში მხოლოდ დარწმუნდა. და ის, ვინც რუსეთის დატოვებას გადაწყვეტს, აქეთ გამოემართება. ზოგადად კი, საქართველო კიდევ ერთხელ წარმოაჩენს თავის მნიშვნელოვანებას“.**

ამავე დროს, ახალგაზრდა თვლის, რომ ქვეყანა ამ ნაბიჯისთვის მზად არ იყო და ეს „უფრო პოლიტიკური მანევრია, ვიდრე მზაობისა და ქვეყნის განვითარების შესაბამისი ხარისხის დასტური“. რაც შეეხება სოციალურ ასპექტს, თემურს ეჭვი ეპარება, ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა შეხედულებებში ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღებით რაიმე კარდინალურად შეიცვალოს, თუმცა თვლის, რომ ეს პროგრესი არის საფუძველი ჩრდილოეთკავკასიური საზოგადოებისთვის, საკუთარი განვითარების გზაზე დაფიქრდეს.

ყაბარდოელი პედაგოგი რუსლანი კი დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო-ევროკავშირის ახალი შეთანხმება ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლებს სარგებელს მოუტანს იმ კუთხით, რაც უცხოეთში მგზავრობას ეხება, ვინაიდან ამიერიდან მათ ეს ნებისმიერ დროს შეეძლებათ:

**„რა თქმა უნდა, ეს ყველაფერს ბევრად გაამარტივებს, რადგან რუსეთიდან ევროკავშირში გასამგზავრებლად ვიზის მიღება საჭირო. ასე, რომ თუ ევროპაში წასვ**ვადები არ დაუკონკრეტებია.

მიუხედავად ამისა, მოსკოვი საქართველოს სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე მუშაობს და ამავდროულად ევროკავშირისგან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისთვის ვიზების გაცემაზე შეზღუდვების მოხსნას მოელის.

როგორც თებერვლის დასაწყისში პრაღაში მორიგი მოლაპარაკებების დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, „ვიზების გაქმება — ეს რუსეთის პრეროგატივაა, თბილისი კი მხოლოდ მიესალმება, თუ სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის გამარტივდება ან საერთოდ გაუქმდება“.

ყარაჩაელი ისტორიკოსი რუსტამი თვლის, რომ ახალ რეალობაში, კერძოდ საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის პირობებში კავკასიის რეგიონში ხალხებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების ახალი ჰორიზონტები და შესაძლებლობები ჩნდება:

**„საქართველო ოდითგანვე მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი იყო ჩრდილოეთკავკასიელი ხალხებისთვის. მთიელები კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებიდან რეგულარულად ჩადიოდნენ სხვადასხვა ქართულ ქალაქსა და სოფელში სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად. XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობების გართულების პერიოდში, სამხედრო კამპანიების აქტივიზაციის დროს საქართველო ჩრდილოეთკავკასიის ცალკეული მთიანი რეგიონებისთვის ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის ერთადერთ მიმწოდებლად, საკუთარი საქონლის გასაღების ერთადერთ არხად და გარე სამყაროში ერთადერთ ფანჯრად რჩებოდა“.**

КАВКАЗ. РЕАЛИИ

# „მგლები“ და ყანდურები მღვდლისა და მღვდელ-მთავრის სამოსში!





**მთავრობამ შესაძლოა, რაღაც ინტერპრეტაცია მისცა ბოროტმოქმედთა განზრახვებს და მოცემულობა იმ კუთხით დაგვანახვა, როგორადაც უფრო მას სჭირდებოდა. მთლიანობაში ფაქტი ის არის, რომ შიგნით დაგროვილია დიდი სიბინძურე, ძირმაგარა გასივებულია, ჩირქის ამოხეთქვას ლამობს და განწმენდაა საჭირო. ამდენად, ვფიქრობ, რომ სახელმწიფო პირიქით, უნებლიეთ, სულაც კეთილ როლშია, როცა ავლენს დამნაშავეებსა და აქამდე იმუნიტეტით მოსარგებლე რამდენიმე მაფიოზს.**

გამოჩენილი რუსი კლასიკოსი თ. დოსტოევსკი ამბობს: **„არ არსებობს ქვეყნად სიმართლის თქმაზე უფრო რთული რამ და არც არაფერია მლიქვნელობაზე უფრო ადვილი“**. მერწმუნეთ, ჩემთვისაც იოლი არ არის ვწერო იმ ეკლესიის საპატრიარქოში არსებულ პრობლემაზე, რომლის ომოფორქვეშაც თავად ვიმყოფები. რასაკვირველია, ჩვეულებრივ ჭეშმარიტი სარწმუნოების შვილობრივი გულშემატკივრობა რომ არ მამოძრავებდეს, პირადი კეთილდღეობის მერკანტილურ და კარიერისტულ პოზას ავირჩევდი და მოღიმარი ლაქიების მსგავსად, ეგოისტურად შევხედავდი სამყაროს, მაგრამ ნუ იყოფინ!

როგორც ვხედავთ, საეკლესიო სივრცეში განვითარებულმა მოვლენებმა, მეტად გაურკვეველი, ქაოტური და დამაბნეველი გარემოება შექმნა. სისტემური მარცხი, აბსოლუტიზმის იდეით განმტკიცებული და სულიერად დასნებოვნებული რეჟიმი უმძიმეს კრიზისშია. ფაქტობრივად, გაცხადდა ის, რაზედაც პრივატულ თუ კონფიდენციალურ წრეებში, ყველანი წუხილითა და შეშფოთებით ვსაუბრობდით. სწორედ ამიტომაც, იმისათვის, რათა მკვეთრი სიცხადე და გარკვეულობა დავინახოთ, საჭიროა ეკლესიის, როგორც მისტიკური სავსებისა თუ მეტაფიზიკური ბუნების გამიჯვნა – ადმინისტრაციული ორგანოსაგან (საპატრიარქოსაგან), ისევე როგორც ერთია მედიცინის სფერო და მეორე კონკრეტული საავადმყოფოს ხელმძღვანელობა თუ მისი შინაგანაწესი, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი რომელიმე მედპერსონალი უპასუხისმგებლო და არაკომპეტენტურია, სავსებით არ ნიშნავს საკუთრივ მედიცინის, როგორც დარგის პრობლემას.

ცხადია, წარმოებაში არსებულ საქმეზე, რომელზედაც მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება, შეუძლებელია დამაჯერებლად ისაუბრო გარედან და თეოლოგისა და მრევლის წევრის კომპეტენციას მიაკუთვნო სისხლის სამართლის დანაშაულის რეალიებზე მსჯელობა, მისი ახსნა და შეფასება. რაკი უმძიმეს ბრალდებებთან გვაქვს საქმე, დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძალიან რთული და არაკორექტული იქნება. თუმცა, მე, როგორც მოქალაქეს, მართლმადიდებელ ქრისტიანსა და მეტ-ნაკლებად საეკლესიო წიაღთან დაახლოებულ ადამიანს, შესაძლოა, ინტუიტურად, ვიწრო გამოცდილების, ინფორმირებულობისა და ანალიზის დონეზე გარკვეული მოსაზრება და ვერსია გამოჩნდეს, მაგრამ კონკრეტულად მოწამვლის გეგმაზე დარწმუნებით საუბარი ერთობ არასერიოზული და უხერხულიც კია ჩემი მხრიდან, ამიტომ მზაკვრულ ინსინუაციებსა და ემოციურ სპეკულაციებს ნამდვილად არ მივეცემი.

* * *

**მახსენდება გამოჩენილი ირანელი საზოგადო მოღვაწე ალი შარიათი, რომელიც ამბობდა: „თუ არ შეგიძლია, ბოლო მოუღო უსამართლობას, მაშინ უამბე მაინც ყველას მის შესახებ“.**

ჩემი პათოსის ერთ-ერთი მახასიათებელიც სწორედ ეს არის, რომ ღვთისმოშიშებითა და კეთილკრძალულებით ყველას ღიად და გამჭვირვალედ გავანდო საკუთარი საწუხარი, რომელიც გარშემო ჩამოწოლილი რეალობის გულწრფელი გამოძახილია.

* * *

**ნაციონალური მოძრაობის მიმდევრები და „რუსთავი-2“ ჩვეულებისამებრ მოწოდების სიმაღლეზე“ არიან და აცხადებენ, რომ ელისო კილაძის მისტიკურ-მეტაფიზიკური ხილვის საფუძველზე, აღნიშნული ლიკვიდაციის მცდელობა თურმე ბიძინა ივანიშვილის დაკვეთა იყო, რაც სუს-მა გარკვეული ინსცენირებით „შეკერა“, იმისათვის, რათა ეკლესიაში თავისი საცეცები უფრო მეტად განიმტკიცოს და კონკურენტი ფრთა დისკრედიტირდეს.**

ამავე ნარატივს ირიბი რიტორიკით, მაგრამ ანალოგიური განწყობითა და ეგოისტური ინტერესით მიჰყვებიან მიტროპოლიტ პეტრე ცაავას ტრენდის წევრები, რომელნიც ხელმოცარულობის გამო წარსულ გავლენას მისტირიან და ახალაიების ახლობლობაში მხილებული მეუფე დიმიტრის სიძის – იოსებ ოხანაშვილის პოზიციების შენარჩუნებისათვის იბრძვიან, რომლის მიმართაც ფინანსური მანიპულაციების კუთხით არაერთი ბრალდება და მითქმამოთქმა არსებობს (აღარაფერს ვამბობ მის უზნეობასა და თავგასულობაზე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ მასთან გაჩაღებულ დავაში მეუფე იაკობი აბსოლუტურად მართალია. ამდენად, პროვინციული ახირებითა და მერკანტილური შურისმაძიებლობით მუდმივად მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილზე აპელირება ძალიან სამარცხვინო და კომიკურია. თუმცა ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი ხელისუფლების მეხოტბე და ძებნილი მწამებლების: სოსო თოფურიძისა და მეგის ქარდავას მეგობრისა და სადისტი ახალაიების ოჯახთან შეხმატკბილებული ახლობლის ბაგეთაგან არაადეკვატური თუ ისტერიული აკვიატება სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს. აქვე დავძენ, რომ შორენა თეთრუაშვილს უმანკო ანგელოზად სულაც არ ვთვლი და არაერთხელ გამიკრიტიკებია, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლაში ის ყველაზე მეტ პატივისცემას იმსახურებს.

შექმნილი სურათი კი, მთავრობამ რომ მოაწყოს, ამის ნიადაგი იქ უნდა იპოვოს, შიგნით. თუ ეს სუს-მა დადგა, მაშინაც არასახარბიელოდაა საქმე, რადგან დასაყრდენი ნახეს და იმიტომაც მოაწყვეს. ასევე, მთლად ისეთი მოწყობა და ინსცენირება, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანის გარშემო საქმე გამოცხვეს, ასეთი რალა რასაკვირველია, წიგნებსა და ფილმებშიც კი არ ხდება-ხოლმე.

მთავრობამ შესაძლოა, რაღაც ინტერპრეტაცია მისცა ბოროტმოქმედთა განზრახვებს და მოცემულობა იმ კუთხით დაგვანახვა, როგორადაც უფრო მას სჭირდებოდა. მთლიანობაში ფაქტი ის არის, რომ შიგნით დაგროვილია დიდი სიბინძურე, ძირმაგარა გასიებულია, ჩირქის ამოხეთქვას ლამობს და განწმენდაა საჭირო. ამდენად, ვფიქრობ, რომ სახელმწიფო პირიქით, უნებლიეთ, სულაც კეთილ როლშია, როცა ავლენს დამნაშავეებსა და აქამდე იმუნიტეტით მოსარგებლე რამდენიმე მაფიოზს.

ცხადია, არც ის არის გამორიცხული, რომ ორი უმსხვილესი დომინანტური პოლუსის: აშშ-ის სპეცსამსახურებისა და რუსეთის საიდუმლო კოლონიის ურთიერთცილობის საგანი იყოს ესოდენ ავტორიტეტული ინსტიტუტის შიგნით საკუთარი ვექტორისადმი სიმპათიებით განწყობილი ჯგუფისა თუ პირის გაძლიერება და შესაბამისად კონკურენტის განეიტრალება, რათა სამომავლო პლატფორმა მათ სასარგებლოდ ამუშავდეს

მოვლენათა პერიპეტიებს თუ მივყვებით, ამაში დაუჯერებელი არაფერია, რადგან თავის დროზე მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში ნამსახურებ მღვდელ გიორგი მამალაძეს ღია, გაცხადებული კონტაქტები აქვს უკრაინის ავტონომიურ რუსულ ეკლესიასთან. ამრიგად, ნებისმიერ შემთხვევაში საპატრიარქომ თავად ჩაიგდო თავი ასეთ უხერხულ და სამარცხვინო მდგომარეობაში და ესეც მისი ადმინისტრაციის ბრალია, და იმ უბეში გამოზრდილი გველებისა, რომელთაც იქედნესავით საკუთარი მშობლის სხეულს დაუწყეს ჭამა და განადგურება.

* * *

**ვინმე მამა გიორგი მამალაძე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ვიცი მკვლელია თუ დანაშაულებრივი ჯგუფის პაიკი ფიგურა, მაგრამ ეს პიროვნება არასოდეს მომწონდა. პირადი გამოცდილება მასთან შეხებისა ასეთი მაქვს: 4 წლის წინათ შიომღვიმის მონასტერთან, ეზოში ვიმყოფებოდით მომლოცველები, საღამო ხანი იყო, ჩვენთან ერთად იყვნენ სასულიერო პირებიც, მათ შორის იდგა დეკანოზი გიორგი მამალაძეც. მე აღფრთოვანებით ვესაუბრებოდი მეგობარ მღვდლებს ათონელი ბერების სიდიადის შესახებ, რაზედაც ჩემთვის უცნობმა, თმებდაუთოვებულმა „მოძღვარმა“გიორგი მამალაძემ დამცინავი და უხეში რეპლიკები მომიძღვნა და ათონელი ბერები უაღრესად აგდებულად მოიხსენია, რის გამოც მასთან უსიამოვნო შელაპარაკება მომივიდა და რომ არა ჩემი მოთმინება, დამსწრე საზოგადოების ჩარევა და წმინდა გარემო, ალბათ, კამათი სერიოზულ ჩხუბშიც გადაიზრდებოდა.**

იხ. 7 გვ.

## „რუსთავი-2“-მა ირაკლი მამალაძეს საფრთხე შეუქმნა

**„რომც მქონდეს ჩანაწერი გაკეთებული, თუ ეს ჩანაწერი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაინტერესებს, ეს კანონდარღვევაა?“** – ასეთ კომენტარს აკეთებს ჟურნალისტი ირაკლი მამალაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეში არსებული ფარული მასალა მისი ჩაწერილია. ჟურნალისტმა კომენტარი „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მისცა.

საყდრისის დაცვის კომიტეტის წევრი ამბობს, რომ ტელევიზიით მისი სახელისა და გვარის გაჟღერებამ ისეთი მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი მიაყენა, რომ არ გამორიცხავს, ჩვენების მიცემაზე საერთოდ უარი თქვას. ჟურნალისტი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკის დარღვევაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ „რუსთავი-2“-მა მას, როგორც მოწმეს საფრთხე შეუქმნა.

საყდრისის დაცვის კომიტეტის წევრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეში პროკურატურის მოწმეა. ირაკლი მამალაძე საქმის დეტალებზე არ საუბრობს, ვინაიდან ამბობს, რომ გაუხმაურებლობის დოკუმენტზე აქვს ხელი მოწერილი.

* * *

**„რაც გავაკეთე მინდა, ვთქვა მთელი პასუხისმგებლობით, რომ მე მოვიქეცი როგორც კანონიერი მოქალაქე და ვითანამშრომლე გამოძიებასთან, რადგანაც საქმე გვქონდა უმძიმეს დანაშაულთან, რომლის აღკვეთა საბედნიეროდ მოხერხდა! ორი არჩევანი მქონდა პირადად მე, ან უნდა ვყოფილიყავი დანაშაულში ან უნდა მემხილებინა ადამიანები, რომლებიც გეგმავდნენ უმძიმეს დანაშაულს,“** – აცხადებს მამალაძე.

**„ის ადამიანები, რომლებიც მე დღეს ასე საჯაროდ მლანძღავენ, მიპირისპირდებიან, მინდა, მათ ვუთხრა, რომ აუცილებლად შერცხვებათ მას შემდეგ, რაც გამოძიება დადებს ფაქტს. თავიანთი თავების შერცხვებათ და მაშინ როცა მათ ეძინათ, ქართველმა სამართალდამცავებმა აღკვეთეს უმძიმესი დანაშაული საქართველოში და გადაარჩინეს ქვეყანა იმ უბედურებას რაც იგეგმებოდა.**

**არ ვიცი, სავარაუდოდ, ვისი მოკვლა იგეგმებოდა და ლიკვიდაცია, მე არ ვიცი. გამოვიდეს დუმილის უფლებას, ვინც იყენებს და თქვას: სად მიდიოდა, რა მიჰქონდა, რატომ მიჰქონდა და ვინ იდგა მის უკან,“** – განაცხადა ირაკლი მამალაძემ „კურიერთან“ ინტერვიუში.

## უჩა ნანუაშვილი: დეკანოზი ამბობს, რომ ჩხრეკის დროს ხელჩანთაში ციანიდი ვერ აღმოუჩინეს!



სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის ინფორმაციით, დეკანოზი გიორგი მამალაძე არ ადასტურებს, რომ სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერება ციანიდი ჰქონდა.

**„კითხვის ნიშნები არის უამრავი, ამიტომაც არის აუცილებელი ამ საქმის დამოუკიდებელი გამოძიება. მე იმედი მაქვს, რომ უახლოეს დღეებში ბევრ რამეს მოეფინება ნათელი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დაიცვას კონკრეტული ბრალდებული, ჩვენ ვიხილეთ სიტუაცია, როდესაც მათ ეს უფლება წართმეული აქვთ. ბრალდების მხარეს აქვს სრული უფლება, ისაუბროს საქმის დეტალებზე და დაცვის მხარეს რაღაცის თქმის უფლება არ აქვს. ეს სერიოზული დარღვევაა და ვფიქრობ, ეს დარღვევა ძალიან მალე გამოსწორდება.“**

# რა აწუხებს დღეს ჩვენს ხალხს?!



*ვაი ჩვენს პატრონს,*
*ჩვენი ყოფის თავი და ბოლო,*
*ჭამა და საჭმლის მონელება*
*თუ არის მხოლოდ!*

**მუხრან მაჭავარიანი**

**წესრიგისა და პატიოსანი შრომისადმი სიყვარული მთებსაც კი დაძრავს ადგილიდან... ვიცით ეს ჩვენ, მაგრამ სიღარიბემ ძალ-ღონე ისე გამოგვაცალა, ისე დაგვაძაბუნა, რომ ჩვენი ხალხის საზრუნავი მხოლოდ კუჭის პრობლემამდე დაიყვანა.**

**ვიფიქრე, ვიფიქრე და ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მაინც იმ თავდაპირველ მოსაზრებაზე შევჩერდი, რომელიც სულ მქონდა და სულ მაწუხებდა: ვინ არის ადამიანი!**

როდესაც, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ე. წ. პრეზიდენტი ტრიბუნაზე შედგება და საქართველოს ძველთაძველი მიწის, ქართლის ტერიტორიის ნაწილზე, ანუ ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონზე აცხადებს — სამხრეთ ოსეთი ხომ არის, მაგრამ ახლა, ვსარგებლობ „ხალხის ისტორიული მეხსიერებით“ და მას „ალანია“ უნდა დაერქვასო, რას ნიშნავს და რა არის ეს! ამას რომ ამბობს ეს ხალხზე „მზრუნველი პატიოსანი კაცი“, შუბლის ძარღვი მცირედით მაინც არ შეუტოკდება? რომელი ხალხის მეხსიერებით სარგებლობს ნეტავ — ცხინვალიდან ოკუპანტების მიერ გამოდევნილი, მამაპაპური სახლ-კარიდან აყრილი ხალხისა? ჰკითხავენ კი, მათ სურთ თუ არა, რომ მათ სამშობლოს ალანია დაერქვას? ანდა, იქნებ ჯობდეს საკუთარი მეხსიერება მოიჩხრიკოს ამ ნოვატორმა ბატონმა. საინტერესოა, სად ისწავლა და რა ცოდნა შეიძინა. ისტორია და ისტორიული წყაროები მოიძიოს ნებისმიერ ენაზე, რა თქმა უნდა, ნამდვილი მეცნიერებისა და მკვლევარებისა, და არა ოკუპანტების მიერ შეთითხნილი!

რა ვთქვათ, ადამიანია ვითომ იგი?! ეჰ, რა ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ საწყალ თიბილოვს ვინ რას ეკითხება, თავადაც ოკუპირებული რომ არის, საუბედუროდ, ვერ გრძნობს, ალბათ... ასეა თუ ისე, ეს ამბავი არ არის ქართველებისთვის ერთჯერადად მოსასმენი და მალე დასავიწყებელი. მტერი სწორედ რომ არაკაცების ენით და ხელით აკეთებს თავის ავ და ბნელ საქმეს და უნდა გავუფრთხილდეთ, ყოველგვარი პოლიტიკური ხერხი გამოვიყენოთ, რომ ჩვენი სამშობლოს შუაგულში ერთ დროს კომუნისტების მიერ წამოწყებულ აბსურდული „ავტონომიური ოლქის“ „ხარაჩოს“ საძირკველი არ გაუმყარონ!

მაგრამ გვესმის კი ჩვენ ეს ყველაფერი? სად არის სიფრთხილე. როცა ოკუპანტი კარგა ხანია, დაჯირითობს ქართულ მიწაზე და თანაც ვინმე ლეონიდ თიბილოვის პირით ცინიკურად გვახლის: რასაც მინდა იმას ვიზამო, ჩვენ რას ვაკეთებთ?

არა, რა თქმა უნდა, არ ვისმენთ. უფრო „საყურადღებო“, სხვადასხვა საქმით ვართ დაკავებული. აი, მაგალითად, რამდენ მილიონად შესთავაზა ერთმა „ჭკვიანმა“ მეორეს ივანიშვილის ჩანაწერები(!). წარმოგიდგენიათ? ეს ხომ უფრო სენსაციურია, ვიდრე სამშობლოს ბედ-იღბალი! ანდა, კიდევ უკეთესი: პირველი არხის ახალი დირექტორისა და მისი საბჭოს თათბირები, რეორგანიზაციის მიზნით, არხის მუშაობის დროებით შეჩერებაზე რომ უნდათ შეჯერდნენ. არაო! — გაიძახიან ხმაურისა და აურზაურის მოყვარულნი, აუქმებენ არხსო! ახლა მსმენელები ნახეთ, როგორ აიტაცეს პირველი არხის ახალი თავმჯდომარის (არაფერი რომ არ იცისო!) დანაშაული? აი, ასეთი „უმნიშვნელოვანესი“ საკითხებით არის ქართველი საზოგადოება გაფაციცებული. სულ გადაავიწყდათ ვიზალიბერალიზაცია. მე კი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რატომღაც ამ ვიზალიბერალიზაციაზე (ზოგიერთი რომ „უვიზო მიმოსვლის“ სახელით მოიხსენიებს) ბევრი ვიფიქრე...

ერთი საუკუნის წინათ ჩვენი წინაპრები თავისულად მოგზაურობდნენ სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა მიზეზით საზღვარგარეთ, ევროპის ქვეყნებში იქნებოდა ეს თუ აზიაში, ზოგი სამკურნალოდ მიემგზავრებოდა, ზოგი დასასვენებლად, ზოგი სასწავლებლად. მთავარი ვიზა კი არა, ფული იყო. მერე ნამკურნალები თუ ნასწავლი ადამიანები უბრუნდებოდნენ ჩვენს სამშობლოს და აგრძელებდნენ ცხოვრებას როგორც თავისთვის, ასევე სამშობლოსთვის. სხვა დრო იყოო, მეტყვით. რასაკვირველია, სხვა დრო იყო, სხვა პირობები, სხვა მოთხოვნილებები. 1917 წლის ეგრეთ წოდებულმა ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა. ბოლშევიკურმა „შეგნებამ“ — მთელი პლანეტა კომუნისტური მზერით უნდა უყურებდეს მომავალსო, მსოფლიო ორ ბანაკად გაყო და ერთი მხარე რკინის მძიმე ფარდით ჩააბნელა. ამ ჩაკეტილ უჰაერო გარემოში მოხვდა ჩვენი პატარა ქვეყანაც. დიახ, დღემდე დახშული იყო ჩვენთვის ევროპის გზა და არა მარტო ევროპის. კი, ევროპელები ვართო, გავიძახოდით, მაგრამ ვინ გვიჯერებდა! განა, ჩვენ კი გვჯეროდა? ანდა, როგორ უნდა დაგვეჯერებინა, როდესაც იქით, იმ სამყაროში თუნდაც რამდენიმე წლით ნაცხოვრები და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ჩვენი მოქალაქე გაკვირვებული და დაბნეული სულ იმას ფიქრობდა და ამბობდა კიდეც, რატომ უნდა ყოფილიყო იმათი ყოფა ჩვენი ყოფისაგან ასე რადიკალურად განსხვავებული, ბუნებისაგან დამშვენებულ ჩვენს ნოყიერ მიწაზე გლეხი ასე დაჩაჩანაკებულდაბეჩავებული და იქ კი — წელგამართული, ყველაფერი აყვავებული. ნეტა რა გვაკლია — ნიჭი, უნარი, ადათ-წესი, ჩვეულება თუ რა. რაღაცა უდავოდ გვაკლია! არადა, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, რენესანსული მიმართულებები შეიმჩნეოდა ჩვენს კულტურაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაშიც, ხუმრობა იყო — ქალი განაგებდა ქვეყანას და ეკონომიკა ყვაოდაო საქართველოში! ასე გვიამბობენ არა მარტო ქართველთა თვალით დანახული ისტორია, არამედ ზოგადად მსოფლიო ისტორიის მკვლევარები და მცოდნენი... მერე რა დაგვემართა, რამ დაგვაგლახავა, რამ მოგვადუნა და ჩამოგვარჩინა. განა არ ვიცით, ვიცით რა გზაც გავიარეთ, გზა კი არა, უღელტეხილებში გავიხლართეთ, უფსკრულებს ვახტებოდით და რამდენი რამ შიგ ჩაგვიცვივდა, ვინ მოთვლის რა ძვირფასეულობა და რა ღირებულებები დავკარგეთ. მაგრამ მაინც, რაც არ უნდა გაჭირვებით გამოგვევლო ჩვენი სავალი გზა, თუ აქამომდე მოვედით, მხოლოდ საკუთარი თავი და ჩვენი ფიზიკური არსება კი არადა, ღირებულებებით სავსე ჩვენი სულიერებაც უნდა მოგვეტანა, ჩვენი ამაყი შეუდრეკელი გული, ძალა და ღონე. ასე რომ ყოფილიყო, არ დავმცირდებოდით, უფრო და უფრო არ დავცოტავდებოდით, ის ეჭვებიც არ გაგვიჩნდებოდა ახლა რომ გვთრგუნავს და გვაშინებს, გულს გვიღრღნის — ვაი თუ, ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ხალხი გაგვეფანტოს, უკვე ისედაც დაცარიელებული სოფლები უფრო გაგვიუკაცრიელდესო...

ვინ მოთვლის, რამდენი საფიქრალი და სატკივარი გაგვიჩინა ამ ვიზალიბერალიზაციამ. ჯერ იყო და რატომ არ გვაძლევენო, ვისზე ნაკლები ვართო. მოგვცეს, როგორც იქნა და... ასეთია ადამიანის ბუნება, „საწყაული აღუვსებელი,“ მაგრამ, მოდით, გულწრფელად ვისაუბროთ, ხომ გაგვიხარდა? რასაკვირველია, გაგვიხარდა, ცოტათი, მაგრამ მაინც ხომ წინ გადავდგით ნაბიჯი ევროპისაკენ, ევროპარლამენტის დიდმა ნაწილმაც ხომ გვცნო. გვცნეს და ზოგიერთებმა გვაქეს კიდეც. ეს ყველაფერი რომ არ გვახარებდეს, წარმოუდგენელია, მაგრამ რომ გადავხედავ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, იცით, რა სურვილი მიჩნდება? თითოეული ჩვენგანი, მეტი თუ არა, ორ-ორი წელი მაინც რომ აცხოვრონ ევროპაში, ფერმერები (გლეხები) — ფერმერებთან, მეცნიერები — მეცნიერებთან და ასე შემდეგ, მათთან ერთად აშრომონ, ნამდვილად კარგი იქნება. არა, კარგი კი არა, მგონი, აუცილებელიცაა, თორემ ჩვენი გაევროპელება ძალიან დიდხანს გაგრძელდება, შორს, შორს გადაიწევს. და რად გვინდა ასეთი ლიბერალიზაციები, თუ ჩვენ „ხელ-პირს ვერ დაგვბანს“ და მადლს არ მოგვაცხებს! ოთხმოცდაათი დღე იქ ტყუილა ბორიალი არას გვარგებს. ანდა ამ ოთხმოცდაათ დღესაც ვინ გვაგზავნის, ვინ გვაფინანსებს, სად არის ევრო და, გნებავთ, ლარი! ვინც უზრუნველყოფილია ასეთი კუპიურებით, მათთვის არავითარი ბარიერი არ არსებობდა და არც აწი ექნებათ მათ შეზღუდვა ევროპისა თუ ამერიკის საზღვრების გადსალახავადო, — ამბობს ხალხი. და განა ამ ნათქვამში არ არის სიმართლე? არის და ვინც ქვეყნის პატრონობას იჩემებს, არჩევნებში გამარჯვებისთვის თავს იკლავს, ოღონდ ხმა მომეცით და მე ვიცი როგორ აგიყვავებთ ქვეყანასო, იმას ამ ქვეყნის პატრონობაც უნდა მოვთხოვოთ, თორემ ჩვენ, ხალხს რა შეგვიძლია კანონისა და ძალაუფლების გარეშე. ერთმანეთი როგორ და რა ხერხით ვაიძულოთ ევროპის მსგავსი ქვეყნის აშენებაში, პატრონმა (მთავრობამ) უნდა გააკეთოს ყოველივე ეს. შექმნას ისეთი სისტემა, ჩაატაროს ისეთი რეფორმა, ხალხი შრომაში ჩააბას და წესრიგს მიაჩვიოს, მხოლოდ საკუთარი ბინისა და სახლ-კარის კი არა, ქვეყნის მოვლა-პატრონობაც უნდა ასწავლოს. ისეთი უნარჩვევები განუვითაროს, თავსაც და ქვეყანასაც ერთნაირად უპატრონოს...

ამ დალოცვილ ევროპელებს ისე ჰქონდათ სისხლში და ხორცში გამჯდარი წესრიგიანობისა და შრომისადმი სიყვარული, რომ ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ, დასავლეთზე არას ვამბობ, აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებშიც კი, რომლებთაც იძულებით სოციალიზმისაკენ მიაბრუნებინეს პირი, გაცილებით უკეთესი ცხოვრების დონე და წესრიგი სუფევდა, ვიდრე ახლა ჩვენთან არის. მას შემდეგ რამდენმა წელმა განვლო... ისინი სულ წინ და წინ მიიწევენ. ხომ ხედავთ, რა ამბავი ატყდა რუმინეთში, აქაო და მთავრობაში ერთიორი კაცი მექრთამე და უსინდისო გამოგვერიაო და ნახევარი მილიონი აღშფოთებული რუმინელი მოქალაქე გამოვიდა დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე და ჯერაც არ დაწყნარებულან, სასურველ შედეგს ელიან! ასეთი ხალხი უდავოდ მიზანს მიაღწევს. წესრიგისა და პატიოსანი შრომისადმი სიყვარული მთებსაც კი დაძრავს ადგილიდან... ვიცით ეს ჩვენ, მაგრამ სიღარიბემ ძალ-ღონე ისე გამოგვაცალა, ისე დაგვაძაბუნა, რომ ჩვენი ხალხის საზრუნავი მხოლოდ კუჭის პრობლემამდე დაიყვანა. ღარიბ და მშიერ ხალხს, ისე, როგორც ზედმეტი ჭამა-სმისაგან და ქონებისაგან გაზულუქებულებს, გონებაც რომ უსუსტდებათ — ესეც ძალიან კარგად ვიცით. ჩვენ კი, ორივე კატეგორიის ადამიანები ერთნაირად მოგვიმრავლდნენ და ასეთ პირობებში რა უნდა ვქნათ. გამოსავალი ერთია მხოლოდ — პატიოსანი, ჭკვიანი, პრინციპული და ორგანიზებული მთავრობა, მხოლოდ მთავრობა და პარლამენტი და არა, ერთი ვინმე, რაც არ უნდა გულუხვი, კეთილი და სამშობლოს სიყვარულით სავსე, პატიოსანი და წესიერი იყოს იგი! ეს ბოლო წინადადება რა მოსატანია, მაგრამ, როდესაც მედიაში ყოველი მეორე რესპონდენტი, ახალგაზრდა, ხანდაზმული, პარტიული თუ უპარტიო, ნიჭიერი თუ უნიჭო, მორიდებული თუ ურცხვი აცხადებს, რომ ერთი კაცი ფარულად მართავს ჩვენს მთავრობასო (ქვეყანასო!), ამ სახიფათო და ბევრი ჩვენგანისთვის სამარცხვინო მოვლენაზე არ შემიძლია არ შევაჩერო ყურადღება. ის ერთი კაცი ბატონი ბიძინა ივანიშვილია თურმე, დიდი ქართველი ქველმოქმედი (როგორც სხვა ბევრი, ასე ვთვლი მეც!), მაგრამ, როგორც ყველა მიწიერ ადამიანს, ხომ შეიძლება მასაც შეეშალოს... ქვეყნის ერთპიროვნულად მართვაზე რა მოგახსენოთ (არ მინდა დავიჯერო, ეს ხომ მთავრობის კი არა, ერის შეურაცხყოფაა, რომელი საუკუნეა!), მაგრამ სტიპენდიატ შემოქმედთა სიაში ბევრი ისეთის გვარი ამოვიკითხე, იქით რომ უნდა იყონ სხვათა დამხმარენი. ეჰ, ძვირფასო ბიძინა, განა ყველა მეცნიერი, გამომგონებელი თუ მწერალი მძიმე ჯვარმოკიდებული ადის იმ ალმართზე, რომელიც მისთვის ბედისწერას (ან შემთხვევითობას) ურგუნებია? ეს ჩემზე უკეთ იცით უთუოდ, მაგრამ სია ვინც შეადგინა, იმას წევრებზე მეტი ინფორმაციის მოპოვება ევალებოდა.



ნეტავ, მხოლოდ ეს იყოს ჩვენი სადარდებელი!

**გულნარა სტურუა**

## ირანელი ტუროპერატორები აჭარას ეცნობიან

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონში ირანელი ტუროპერატორების ინფოტურს მასპინძლობს. 11 მსხვილი ტურისტული სააგენტოს გენერალური მენეჯერი რეგიონს სამი დღით სტუმრობს. ისინი სასტუმრო ინტურისტში ქართველ კოლეგებს შეხვდნენ და ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს. პირისპირ (ე.წ. B2B) შეხვედრების დაწყებამდე ირანელმა სტუმრებმა რეგიონის ტურისტული პოტენციალისა და პროდუქტების შესახებ მომზადებული პრეზენტაციაც მოისმინეს.**



ინფოტურის მონაწილეები ბათუმში არსებულ სასტუმრო ინფრასტრუქტურას გაეცნობიან. ისინი ასევე მოინახულებენ რეგიონის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებსა და მაღალმთიან აჭარას. ირანელი ტუროპერატორები რეგიონს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ავიაკომპანია Turkish Airlines ორგანიზებით სტუმრობენ.

2016 წელს, აჭარას 24 695 ირანელი ტურისტი სტუმრობდა.

# მოსმენა-მიყურადების ახალი რეგულაციები



**ფარულ მოსმენა-მიყურადებების თაობაზე პარლამენტში ინიციირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც ახალი რეგულაციებისა და ვალდებულებების შემოღებას ითვალისწინებს ყველა ავტორიზებული პირისთვის, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინმა“ განცხადება გაავრცელა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ახალ ორგანოს — სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შექმნაა გათვალისწინებული და რომელიც, ფაქტობრივად, ავტორიზებულ პირთა დამატებით მარეგულირებელი ორგანო იქნება, დახვეწას საჭიროებს.**

ამის არგუმენტად კომპანია იმ მიზეზებს ასახელებს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავების პროცესში არც ერთი ავტორიზებული პირი, რომელსაც მომავალი კანონი უშუალოდ ეხება, ჩართული არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, „ბილაინის“ მესვეურთ მიაჩნიათ, რომ საჭიროა ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც სავარაუდო საკანონმდებლო ცვლილებებსა და ამ პროცესის თანმდევ ყველა საკითხზე შეჯერებულ შეთანხმებამდე მივა.

ამჟამად პარლამენტში შესული კანონპროექტის თანახმად, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ავტორიზებულ პირთა საქმიანობის აუდიტის განხორციელების, ასევე მათზე დაკისრებული ჯარიმების იძულებითი აღსრულებისა და ავტორიზაციის გაუქმების უფლებამოსილება ექნება, რაც, ფაქტობრივად, ამ სფეროში მოღვაწეობის ნებართვის ჩამორთმევას ნიშნავს.

განცხადებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს სარეგულაციოდ შექმნილ საგანგებო უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო არ ჰყავს, კანონპროექტის ეს დებულება ეწინააღმდეგება „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს. აღნიშნული პუნქტის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო და კომისიის წევრები დამოუკიდებელი არიან თავიანთი საქმიანობის ფარგლებში და მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის დებულებებს ემორჩილებიან. აქედან გამომდინარე, შესაბამისი კანონით მასზე დელეგირებულ საკითხებზე კონტროლის უფლებამოსილება მხოლოდ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს აქვს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ორმაგი, თანხვედრილი მარეგულირებელი უფლებამოსილების განხორციელება დაუშვებელია, მე-3 პუნქტის შესაბამისად კი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროზე სხვა ორგანოს მიერ იურისდიქციის განხორციელების ცდა უკანონოა, ხოლო შედეგებს იურიდიული ძალა არა აქვს.

პარლამენტის მიერ ახლო მომავალში განსახილველი კანონპროექტი ასევე ეწინააღმდეგება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2002 წლისა და 2009 წლის ჩარჩო დირექტივებს, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებენ მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს. აღნიშნული კი, პირველ ყოვლისა, უნდა აისახებოდეს მარეგულირებელ ორგანოთა დამოუკიდებლობაში როგორც სახელმწიფო ორგანოებისგან, ასევე მათ მიერ რეგულირებად ბაზარზე მოქმედი სუბიექტებისგან.

„ბილაინის“ განცხადებაში ასევე ყურადღებაა გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი კანონპროექტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ ახალი რეგულაციებისა და ვალდებულებების შემოღება ავტორიზებულ პირთათვის გამოიწვევს ხარჯის გაუთვალისწინებელ მნიშვნელოვან ზრდას. ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება როგორც რიგით მომხმარებელთა, ასევე ბიზნესის წარმომადგენელთა ბიუჯეტებზე.

გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო პაკეტი ასევე არ ითვალისწინებს იმ გარემოებებს, თუ რის მიხედვით შეიმუშავებს ახალი სააგენტო ავტორიზებულ პირთათვის რეგულაციებს, შესაბამისად, არც იმის გარანტია არსებობს, რომ შესაბამის რეგულაციებში რომელიმე ავტორიზებული პირის სხვებთან შედარებით უფრო ხელსაყრელ პირობები არ ექნება შექმნილი, რაც ამ სფეროში თანაბარუფლებიან საკონკურენტო გარემოს დაარღვევს.

აღნიშნულ საკითხთა გარდა, „ბილაინის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში საკმაოდ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი გარკვეულ ტექნიკურ საკითხებს, აპარატურასთან და მისი განთავსების პირობებთან დაკავშირებულ ასპექტებს, ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების თემასა და სხვ.

ბოლოს კი მითითებულია, რომ ახალი რეგულაციების შემოღების შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაიხვეწოს ავტორიზებულ პირთა სხვა ვალდებულებები, რომელთა მაქსიმალურად დაწვრილებით გაწერაა საჭირო, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალში მათი სხვადასხვანაირად ინტერპრეტირების შესაძლებლობა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

## ◎ ბოლო მოვუღოთ უსამართლობას!

# „მგლები“ და ყანდურები მღვდლისა და მღვდელმთავრის სამოსში!

(მეხუთე გვერდიდან)

ამასთან, ხსენებული დეკანოზი გიორგი მამალაძე ის პიროვნებაა, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ, კერძოდ კი 2011 წლის მაისში (ნაციონალური მოძრაობის ზეობის პერიოდში), ქობულეთის სასაფლაოდან ერთი თვის დაკრძალული ახალგაზრდა ქალის ცხედარი საბრალო ჭირისუფლებს ამოათხრევინა და საფლავი შეურაცხყო იმ მოტივით, რომ მანამდე ნაგავსაყრელად ქცეული მიწა, ვითომ მისი საკუთრება გახლდათ და როცა იქ ადამიანი დაკრძალეს, მერე გაახსენდა, რომ იმ მიწის რამდენიმე კვადრატულ მეტრს საკუთრებაში ფლობდა (რაც რეესტრში გადამოწმების შემდეგ არც დადასტურდა), თუმცაღა მოკვლევა უკვე გვიანი იყო, რადგან ჭირისუფალნი ორჯერ აგლოვა, გვამი ამოათხრევინა, სხვაგან დაამარხვინა და საწყალი ოჯახი შანტაჟითა და პოლიციის მუქარებით დაამცირა.

**აგრეთვე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ როდესაც დეკანოზი გიორგი მამალაძე დონეცკში მსახურობდა, თავისი ამორალური და უხამსი ქმედებების გამო, იქაური ქართული დიასპორის ძალისხმევის შედეგად გამოძევებულ იქნა ქალაქიდან. საქმე ეხებოდა საეკლესიო საკუთრებაში არსებული მიწების თვითნებურ გასხვისებას, ფინანსური თაღლითობის ფაქტებსა და აღვირახსნილ ქმედებებს.**

საგულისხმოა, რომ ჩაქვის რაიონის წმ. დავით ალმაშენებლის სახელობის გიმნაზიაში, რომელსაც ღვაწლმოსილი დეკანოზი არჩილ ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა, ავადსახსენებელმა დეკანოზმა გიორგი მამალაძემ თავისი ჩვეული ინტრიგნობით მიტროპოლიტ დიმიტრის გადააყენებინა დაკავებული თანამდებობიდან და ამასთან ერთად სხვა ტაძარში გადააყვანინა. ცნობილია, რომ ამის შემდეგ, მავნებელ დეკანოზ გიორგი მამალაძეს, რომელიც სასწავლებელს დაეპატრონა, საშინელ დღეში ჰყავდა პედკოლექტივი და მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელნიც მისგან სიტყვიერ შეურაცხყოფებსა და ყოველდღიურ წნეხს განიცდიდნენ. არადა, „მღვდელმა უნდა იცოდეს, რომ ღმერთმა მბრძანებლად ან ზემდგომად კი არ დაადგინა თავის სამწყსოზე, არამედ მის შემწედ. (1 პეტ. 5.3).

13 თებერვალს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერით გავრცელდა არაავთენტიკური და ყალბი წერილი, რომლის ავტორადაც ვითომდა დეკანოზი გიორგი მამალაძე გვევლინება, სადაც მავანს (ჯგუფს, რომელმაც მისი სახელით ცრუ წერილი გამოაქვეყნა) ჰყოფნის უტიფრობა და არც მეტი, არც ნაკლები, უსპეტაკეს გმირადაც კი ჰყავს გამოყვანილი ბრალდებული დამნაშავე, რაც ამ პიროვნებასთან ოდნავ სიახლოვეში მყოფი ადამიანებისთვისაც კი ძალიან სასაცილო და უხერხული მოსასმენი აღმოჩნდა. ეს საქციელიც წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდების უბადრუკი გაფართხალება უფროა, ვიდრე გულამოსკვნილად წრფელი საწუხარი.

ამ ფონზე, აუცილებლად უნდა დაისვას ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც თანამდებობრივად და წოდებრივად აღამაღლა და უფლებათა კვარცხლბეკზე აღიყვანა დეკანოზი გიორგი მამალაძე. ბუნებრივია, ეს პიროვნება გახლავთ მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი, რომელიც ამასთანვე, გაცხადებული ლობისტია ისეთი დესტრუქციული და ექსტრემისტული დაჯგუფებისა ეკლესიაში, როგორიც „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირია“. ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი საეკლესიო ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი ნაწილი, სწორედ ხსენებულ მიტროპოლიტს მიაქვს, რომელიც ბუნდოვანი მიზნობრიობით განიკარგება!

საქვეყნოდ ცნობილია თუ როგორი ფუფუნებით, განცხრომითა და კომფორტით ცხოვრობს ყანდურად ქცეული ბათუმის ამჟამინდელი მიტროპოლიტი, რომელიც გვაროვნული დინასტიის წესით, მრავალი წელია, რაც წარმატებით ცდილობს, რომ დაეპატრონოს ზოგადსაეკლესიო ქონებას, შეიმუშაოს კარტელური თუ კორუფციული სქემა ფულის გათეთრებისა და კაპიტალის გაფართოებისათვის, განიმტკიცოს კლანური ძალაუფლება და გაწიროს ყველა, ვინც ამ ამოცანის გზაზე მამხილებლად გადაეღობება. ზემოთ ხსენებული დეკანოზი გიორგი მამალაძეც სწორედ მისი უახლოესი გარემოცვის წევრია და მისი ლოცვა-კურთხევის ქვეშ მოქმედი პირი. კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს: „გველს ვინც რძეს უსხამს, შხამსაც ის უორკეცებსო“ და აქედან გამომდინარე, დამკვეთი დამნაშავეების კვალიც სწორედ ლოგიკურ პერიმეტრზე უნდა მოიძებნოს და სადამსჯელო აქტის ჯოხი მხოლოდ ამ ცალკე დეკანოზზე არ უნდა გადატყდეს.

აღსანიშნავია, რომ თვალის ასახვევად, ვიზუალური ფონი (ტაძრებისა და სამღვდელო დასის სიმრავლე) მართლად შექმნა და გააფართოვა მიტროპოლიტმა დიმიტრიმ, თუმცა ეკლესიის ჭეშმარიტი დანიშნულება, სულიერება და ცხონების საკითხი აბსოლუტურად მიღმა დატოვა და მხოლოდ პირადი განდიდებისა და პატივმოყვარული ამბიციების სახებად ჩამოყალიბდა.

**აქვე დავძენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ბრალდებებს უშუალოდ დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით, ნებისმიერი არაანგაჟირებული და ნეიტრალური აჭარის მოსახლე (ბათუმის, ჩაქვისა და ქობულეთის) მკვიდრი დაგიდასტურებთ. ხსენებულ პიროვნებაზე კიდევ არაერთი დანაშაულებრივი ფაქტის მოყვანა შეიძლება, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო ამჯერად თავს შევიკავებ!**

ზოგიერთ კეკლუც და ფლიდ იერარქსა თუ რიგით სასულიერო პირს კი, რომელიც ცდილობს, რომ საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ნამუსი მოწმინდოს კრიმინალურ ფიგურებს და სოლიდარობა გამოუცხადოს ბრალდებულს, შევახსენებდი წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის უმკაცრეს გაფრთხილებას:

„არავინ არ აყენებს ისე დიდ ზიანს ეკლესიას, როგორც სასულიერო პირი, რომელიც უსჯულოდ იქცევა. ვერავინ ბედავს დაადანაშაულოს იგი, ხოლო ცდომილება მისი კი მით უფრო იზრდება, როცა მისი სასულიერო ღირსების და მოწიწებისა და პირადი სარგებლის გამო, მაინც განაგრძნობენ ასეთი ცოდვილის შეწყნარებას“.

* * *

**დასკვნა:**

ჩვენ გვჭირდება დეპოლიტიზებული, არაიდეოლოგიზებული, არაბიუროკრატიული, არაკარიერისტული ხელმძღვანელობა, რომლისთვისაც სულთა ხსნა, ჭეშმარიტების დამოწმება, მისიონერული განმანათლებლობის ხელშეწყობა და სიყვარულის მახარებლობა იქნება უმთავრესი პრიორიტეტი და კრედო.

ჩვენ გვჭირდება ღარიბი ეკლესია, რომელსაც მიღმიერი სიმდიდრე გააჩნია. გვესაჭიროება იმგვარი გულწრფელობის ხარისხის სამღვდელო კადრების წარმოჩინება-დაწინაურება, რომლისთვისაც საზოგადოებასთან ღია კომუნიკაცია, წარსული შეცდომების აღიარება, მონანიება და გამჭვირვალობა იქნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რეორგანიზაციის გზაზე. ამის პოტენციალი, მიუხედავად სტაგნაციისა და დახუთულობისა, ნამდვილად არსებობს და ადამიანური რესურსიც უანგარო მზადყოფნაშია, თუმცა ამჟამინდელ მმართველობით ატმოსფეროში, ისინი ჯერ კიდევ უუფლებონი, პატივაყრილნი და გარიყულნი არიან.

შენდობას ვითხოვ მკითხველის წინაშე, რამეთუ ემოციურად მტკივნეულ და უმძიმეს პრობლემატიკას შევეხე, ერთი შეხედვით ლეო ტაქსილის „წმინდა ბუნაგის“ მსგავსი, ფატალური სურათი წარმოვადგინე, თუმცა ეს ყოველივე ჩვენში ჩამოწოლილმა სულიერად ტრავმირებულმა, ცხოვრებისეულად ტრაგიკულმა და სოციალურად დრამატულმა მდგომარეობამ მაიძულა.

ჩემს ქრისტესმიერ ძმებსა და დებს კი მოგიწოდებთ, რომ მივენდოთ ჩვენთვის ჯვარცმულ ღმერთს, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, გავაგრძელოდ იმედიანი ლოცვა, გავიაზროთ ორიათასწლოვანი, მებრძოლი ეკლესიის ტვირთმძიმე და დამაშვრალი ისტორია, არ ავყვეთ დაკომპლექსებული და გაბოროტებული ლიბერალების პროვოკაციებს, ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ავიღოთ და შევინანოთ ის დუმილი, კონფორმისტული პოზიცია თუ ფარისევლური ქმედებანი, რასაც წლების მანძილზე ირიბი თანამონაწილეობით (იგულისხმება დანაშაულების მიმართ შემგუებლობა და უზნეობაზე წაყრუება) ვიქმოდით. ეს პროცესი, რომელიც საპატრიარქოს სტრუქტურულ კრახზე მეტყველებს, ღვთივდაშვებით ხდება და სამომავლო პერსპექტივაში სასარგებლო შედეგს მოგვიტანს. როგორც ბიბლიური სოლომონი ამბობს: „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქუეყანა უკუნისამდე ჰგიეს“ (ეკლ. 1,4). ოქრო ცეცხლში იწმინდებაო, ნათქვამია, კოცონი უკვე დაინთო, ახლა საკითხავია, ვინ დაიწვება მასში, ან ვინ პოვებს განწმენდას.



**გვიხსენ უფალო და შეგვიწყალენ! ამინ!**

**გიორგი ტიგინაშვილი**



# რას სთავაზობს მოსკოვი სოხუმსა და ცხინვალს ვიზალიბერალიზაციის საპირწონედ?!

**საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, დოკუმენტის სარგებელი საქართველოს ტერიტორიაზე მის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში ვრცელდება, ანუ ევროკავშირის (შენგენის ზონის) წევრ ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობა ოკუპირებულ რეგიონებში — აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასაც ექნება, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის მფლობელები იქნებიან.**

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოსთან ნებისმიერი ტიპის კავშირი და მით უფრო ქართული დოკუმენტების ფლობა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოღალატეობასთან ასოცირდება, სეპარატისტულმა მთავრობებმა და ოკუპირებული ტერიტორიების რეალურმა მმართველმა — რუსეთის ხელისუფლებამ ძალისხმევა გააათკეცეს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ მათ მიერ გაცემული საბუთები ლეგალურად ცნოს. ამ გეგმის ფარგლებში გასული წლის დეკემბერში სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებამ ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ფედერიკა მოგერინის აფხაზური საბუთების აღიარების თხოვნით მიმართა.

წერილი, რომელიც აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 38-ე რაუნდზე ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისების საკითხებში ჰერბერტ ზალბერს გადასცეს, მოგერინის დროულად გადაეცა, თუმცა ევროკავშირი აფხაზური საბუთების აღიარებას არ აპირებს.

**„ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების აფხაზმა მონაწილეებმა გასული წლის 14 დეკემბერს ნამდვილად გადასცეს ჰერბერტ ზალბერს ეს წერილი. აღნიშნული დოკუმენტი ევროკავშირის უმაღლეს კომისარს დროულად გადაეცა. თუმცა ევროკავშირის პოზიცია საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით ყოველთვის ნათელი იყო და უცვლელი რჩება: ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“,** — განუცხადა „აქცენტს“ ზალბერის პრესსპიკერმა ჰენრი დიუკენმა.

რაც შეეხება ევროკავშირის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე ოფიციალური მოსკოვის რეაქციას, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა აღნიშნული „ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ ფაქტად“ შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ „ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახდება საფუძველი, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებს მოგზაურობა გაუადვილდეთ“. ამასთან, როგორც რუსმა დიპლომატმა 7 თებერვალს პრაღაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძესთან მორიგი შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა, ზემოთ ხსენებული მიზნის მისაღწევად მოსკოვი ძალისხმევას არ დაიშურებს. თუმცა როგორც საპასუხოდ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი აღნიშნავს, ის, თუ როგორ აისახება ვიზალიბერალიზაცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ადამიანების მიმოსვლის შესაძლებლობის გაფართოებაზე, მოლაპარაკების საგანი არ არის: **„ეს არის შესაძლებლობა, რომელიც ეძლევათ საქართველოს მოქალაქის პასპორტის მფლობელებს და ჩვენ ამ შესაძლებლობას ვთავაზობთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთ. შესაბამისად, ეს ამ ადამიანების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ეს საკითხი არის ჩართულობისა და შერიგების პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი, კერძოდ, ის, რომ ორივე რეგიონის მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ ის სარგებელი და შესაძლებლობა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი თანამშრომლობის ფორმატებიდან — ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა პარტნიორებთან“,** — განუცხადა „აქცენტს“ ქეთევან ციხელაშვილმა.

თავის მხრივ, ექსპერტის საქართველოს საკითხებში ლინკოლნ მიტჩელის აზრით, გრიგორი კარასინის განცხადება რუსეთის შეშფოთებაზე მეტყველებს, აფხაზებმა და ოსებმა იმ მიმართულებით არ დაიწყონ ხედვა, რომ ქართული პასპორტი ბევრად უფრო ღირებული სამგზავრო დოკუმენტია, ვიდრე რომელიმე მისი ალტერნატივა: **„ეს ფაქტი საქართველოსთვის დადებითი მოვლენაა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს ურთიერთობების გაღრმავებას კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, რომლებიც მოსკოვის მიერ არ კონტროლდება, ეს კი თბილისისთვის კარგია“,** — განუცხადა „აქცენტს“ მიტჩელმა.

**მარიამ ჩუბინიძე**

# „რაც მოგივა, დავითაო...“: რუსული სამხედრო ბაზები აფხაზებს აღიზიანებს!!!

**არავისთვისაა საიდუმლო, რომ რუსული სამხედრო ბაზები ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. სამთავრობოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე დგანან, თუმცა, როგორც ირკვევა, ადგილობრივ დე ფაქტო ხელისუფლებებთან ურთიერთობაში ყოველთვის ყველაფერი „უმწიკვლოდ“ არ ხდება. კერძოდ, როგორც რამდენიმე დღის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე გულრიფშის რაიონის დე ფაქტო ხელმძღვანელმა ასლან ბარათელიამ განაცხადა, მის რაიონში სადღეისოდ არც ერთი ბიუჯეტწარმომქმნელი საწარმო არ არსებობს და მისი საჭიროებები მთლიანად „რესპუბლიკის“ ბიუჯეტიდან დოტირდება, ხოლო რაიონის ტერიტორიაზე არსებული რუსული სამხედრო ბაზები არათუ არანაირ დახმარებას არ უწევენ რაიონს, ადგილობრივი დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს ტერიტორიაზეც კი არ უშვებენ იმის დასადგენად, რამხელა ფართს იკავებენ ისინი, ან რას საქმიანობენ ამ ფართებზე.**

მეტიც, კრახით მთავრდება ბაზების გარე პერიმეტრის აზომვის მცდელობებიც: სამხედროები გამოდიან და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებისგან იქაურობის დაუყოვნებლივ დატოვებას მოითხოვენ.

როგორც ასლან ბარათელიამ აღნიშნა, სამხედრო პოლიგონამდე მიმავალი გზა სისტემატურად გამოდის მწყობრიდან და აფხაზური ხელისუფლების გარდა, მას არავინ არემონტებს.

რაც შეეხება რუსული ბაზების სარგებელს, აფხაზური შეიარაღებული ძალებისთვის, 2016 წლის 12-14 ოქტომბერს, პირველად ბოლო წლების განმავლობაში, რაიონში სამეთაურო-საშტაბო სწავლება გაიმართა, რომელშიც აფხაზურმა მესამე მოტომსროლელმა ბრიგადამაც მიიღო მონაწილეობა. სულ წვრთნებში, რომელიც წებელდაში, რუსულ-აფხაზურ პოლიგონზე დასრულდა, 1300 ადამიანი ჩაერთო. ეს არის და ეს.

სამაგიეროდ, პოლიგონის მუშაობას უკავშირდებოდა ამასწინანდელი სკანდალი, როდესაც ტერიტორიის მოსწორებისას ძველი ტაძრისა და სასაფლაოს ნარჩენები განადგურდა.

ორი რუსული ბაზა მოქმედებს კოდორის ხეობაშიც. როგორც „აქცენტს“ ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის ყოფილმა რწმუნებულმა, ამჟამად კი საქართველოს პარლამენტის წევრმა ემზარ კვიციანმა უამბო, საკენსა და გენწვისში განლაგებული ბაზები საკმაოდ მოცულობით ტერიტორიას იკავებენ: **„ერთ ბაზად ითვლებიან, მაგრამ განლაგებული არიან საკენსა და გენწვისში, რომელთა შორის დაახლოებით 12 კილომეტრია. ასე, რომ საკმაოდ მოცულობითი ტერიტორია უკავიათ. მაგალითად, მარცხენა გენწვისი (ასე ვუწოდებთ ჩვენ) მთლიანად აქვთ დაკავებული. მიმდებარე ტერიტორიაზე ძალიან ცოტა კომლია დარჩენილი. მოსახლეობას სამხედროებთან შეხება არა აქვს, ბაზებზე არავის უშვებენ. ამ დროისთვის კოდორში სულ 62-მდე კომლია დარჩენილი. ხეობაში 120 სვანური ოჯახი დაბრუნდა, აფხაზები კი ცოტანი არიან — სულ 2 კომლი“.**

კავკასიოლოგი გელა ხმალაძე მიიჩნევს, რომ აფხაზების მხრიდან რუსული ბაზების მიმართ უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვის დაწყება შიდა კლანურ დაპირისპირებას უკავშირდება: **„არა მგონია, რომელიმე პოლიტიკური ძალა კატეგორიული წინააღმდეგი იყოს იქ რუსული ბაზების არსებობის, ისინი ხომ სწორედ ამ ბაზებში ხედავენ მათი, ასე ვთქვათ, სუვერენიტეტის გარანტიას. ვფიქრობ, შიდა პოლიტიკურ გაურკვევლობასა და შიდა წინააღმდეგობებთან გვაქვს საქმე. როგორც წესი, აფხაზეთში უთანხმოება მაშინ ჩნდება, როდესაც თანამდებობებს ვერ იყოფენ, ფულის საკეთებელი ბერკეტები ეცლებათ ხელიდან. მსგავს შემთხვევებში გამოდიან პოლიტიკური განცხადებებით და ამით ცდილობენ, აღიდგინონ გავლენები, არ დაკარგონ ფინანსურ წყაროებთან წვდომა“,** — ფიქრობს ხმალაძე.

კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორ ზურაბ ბრაგვაძის ინფორმაციით კი, სადღეისოდ აფხაზეთის მოსახლეობაში არც მკვეთრად პრორუსული და არც გამოხატულად ანტირუსული განწყობა იგრძნობა, მათ მომავალი როგორც საქართველოს, ისე რუსეთისგან დამოუკიდებლად წარმოუდგენიათ, თუმცა თავადაც აღიარებენ, რომ ეს უფრო ოცნების სფეროა. მთავარ პრობლემას კი, მისი მონაცემებით, აფხაზები დემოგრაფიული ფონის გაუარესებაში ხედავენ, რასაც რუსეთიც უწყობს ხელს და ბოლო პერიოდში ოკუპირებულ რეგიონში შუა აზიიდან მოქალაქეთა დიდი ნაკადის შედინებაც: **„აფხაზეთში მართლაც მძიმე სიტუაცია იქმნება. ამაზე თავადაც ჩივიან. პერიოდულად მოდის თხოვნები, „დაგვეხმარეთ, რუსებისგან გადაგვარჩინეთო“. ბოლო დროს ამ მხრივ დამატებითი პრობლემაც გაჩნდა: შუა აზიიდან, კერძოდ ტაჯიკეთიდან, უზბეკეთიდან დიდი ნაკადი მიაწყდათ. თავად აფხაზები ამბობენ, ძალიან მომრავლდნენ, იქაურ მოქალაქეობას იღებენ, აფხაზებზე ქორწინდებიან და აფხაზებად ეწერებიანო. სულ გვეკითხებიან, თქვენთან როგორი კანონებია, რომ უცხო ეთნოსების შემოდინება შეაჩეროთ, თუ არიან შუა აზიიდან, ჩინეთიდან, არაბული ქვეყნებიდან ჩამოსულები და როგორ წყვეტს საქართველო უცხოელი მიგრანტების საკითხებსო. უნდათ, ამ მხრივ გამოცდილება გავუზიაროთ. როგორც მათთან საუბრებიდან ირკვევა, აფხაზებისთვის, როგორც მცირე ერისთვის, დღეს №1 პრობლემა სწორედ ესაა და არა იმდენად რუსული ბაზები. თუმცა ესეც რომ რუსეთის ხელშეწყობით კეთდება, უდავოა“,** — ამბობს ბრაგვაძე.



**საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“**

## შპს ვარდნილჰესების კასკადის განმეორებითი

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## აუქციონის ჩატარების შესახებ

**მ.წ. 4 თებერვალს გაზ. „საქ. რესპუბლიკაში“ გამოცხადებულ ფასებთან შედარებით 25 %-იანი ფასკლების შემდეგ**

შპს „ვარდნილჰესების კასკადი" (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის №9 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტი), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

| # | დასახელება | ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი ფასი | „ ბე"-ს ოდენობა | ბიჯი | ბილეთის ფასი | მდებარე ობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | ოპელ ვექტრა | CAI-638 | 1990 | 787 | 80 | 20 | 10 | გალი |
| 2 | ფორდ ტრანზიტი | LIK-368 | 1995 | 2364 | 250 | 25 | 10 | გალი |
| 3 | ოპელ ვექტრა B | VNV-724 | 1998 | 1575 | 150 | 20 | 10 | გალი |
| 4 | ა/მ კოლხა სატვირთო | A 329 PO | 2000 | 1406 | 150 | 20 | 10 | გალი |

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილჰესების კასკადის" საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე"-ს აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია

შპს „ვარდნილჰესების კასკადი", ს/კ 251716362

სს „თიბისი ბანკი" კოდი TBCBGE22; ანგ. N GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის" ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2017 წლის 16 თებერვლის 10 საათიდან 2017 წლის 23 თებერვლის 13 სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2017 წლის 23 თებერვალს, 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ვარდნილჰესების კასკადთან" შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი);

– „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

– სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

– რეალიზების შემთხვევაში დღგ–ს გადახდა ან არგადახდა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში, რომელიც უნდა გაფორმდეს აუქციონზე გამარჯვებული პირის გამოვლენის შემდეგ.

მანქანების სარეალიზაციო საწყისი ფასი დადგენილია ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 ოქტომბრის №5005303315 დასკვნით. ამ დასკვნის საფუძველზე აუქციონი გამოცხადდა 3–ჯერ, მაგრამ ქონების შეძენის მსურველთა განაცხადი არ დარეგისტრირებულა. გამომდინარე აქედან, ვარდნილჰესების კასკადის დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება კიდევ 25 %–ით შეამციროს ფასები და გამოაცხადოს აუქციონი.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი, ტელ. 577 736952, 577 434493.

**შპს ვარდნილჰესების კასკადის აუქციონის მომწყობი კომისია**

## ტრამპი თვლის, რომ რუსეთმა უკრაინას ყირიმი უნდა დაუბრუნოს



დონალდ ტრამპი იმედოვნებს, რომ რუსეთი უკრაინას ყირიმის ნახევარკუნძულს დაუბრუნებს. ამის შესახებ თეთრი სახლის პრესმდივანმა შონ სპაისერმა განაცხადა. მისივე თქმით, თეთრი სახლის ლიდერს რუსეთთან თანამშრომლობა იმისთვის სურს, რომ არსებული პრობლემები გადაიჭრას. რუსეთმა ყირიმის ანექსია 2014 წელს მოახდინა. საერთაშორისო საზოგადოება ნახევარკუნძულს რუსეთის შემადგენლობაში არ აღიარებს.

## ტრამპის თანაგუნდელები რუსულ დაზვერვასთან თანამშრომლობდნენ?

დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიისას მისი გუნდის წევრებს რუსულ დაზვერვასთან ჰქონდათ კონტაქტი. ამის შესახებ გამოცემა ნიუ იორკ თაიმსი იტყობინება. გაზეთის ინფორმაციით, არსებობს სატელეფონო ჩანაწერები, რომლითაც ტრამპის თანამებრძოლების რუსეთთან კავშირი დასტურდება. რუსეთის ელჩთან სატელეფონო კავშირის გამო თანამდებობის დატოვება ტრამპის ადმინისტრაციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს უკვე მოუწია. 13 თებერვალს პოსტი ტრამპის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში მაიკ ფლინმა დატოვა.



## ინდოეთმა კოსმოსში 104 თანამგზავრი გაუშვა

ინდოეთმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ერთი რაკეტით ინდოელებმა ორბიტაზე 104 თანამგზავრი გაიყვანეს. მანამდე რეკორდსმენ ქვეყნად რუსეთი ითვლებოდა. 2014 წელს რუსებმა კოსმოსში ერთი რაკეტით 37 თანამგზავრი გაუშვეს. ინდოეთის მიერ გაშვებული თანამგზავრებიდან 96 ამერიკული წარმოებისაა.

## ტეხასს ტორნადომ გადაუარა

ჰიუსტონს ტორნადომ გადაუარა. ქარიშხლის სიჩქარემ საათში 113 კილომეტრს გადააჭარბა. სტიქიის შედეგად ათობით საცხოვრებელი სახლი დაზიანდა. არიან დაშავებულებიც. სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებით საავადმყოფოებში 7 ადამიანი გადაიყვანეს. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ არ გავრცელებულა.

## კიმ ჩენ ნამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი კამერებმა „გამოიჭირეს“

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ნახევარძმის, კიმ ჩენ ნამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ერთ-ერთი თავდამსახმელი აეროპორტის სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. ამის შესახებ სააგენტო სტარი იტყობინება. სააგენტო ეჭვმიტანილის ფოტოსაც აქვეყნებს. ახალგაზრდა ქალს აზიური გარეგნობა აქვს. კიმ ჩენ ნამზეს თავს სამშაბათს ინდონეზიაში კუალა-ლუმპურის აეროპორტში დაესხნენ. ის მოწამლული ნემსებით მოკლეს. ვარაუდობენ, რომ სპეცოპერაცია ინდონეზიაში ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურებმა მოაწყვეს.

## კალიფორნიაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა



შესაბამისი განკარგულება პრეზიდენტმა ტრამპმა გასცა. გადაუღებელი წვიმის შედეგად ადიდებულმა წყალმა ოროვილის წყალსაცავზე ჯებირი გაარღვია, რის შედეგადაც ახლომდებარე რაიონები დაიტბორა. სტიქიის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, დამბის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენას 200 მილიონი დოლარი დასჭირდება.



## ესპანეთის სასამართლომ თავსაბურიანი ქალი გაამართლა

კუნძულ მალიორკას ქალაქ პალმას რეგიონულმა სასამართლომ აეროპორტში მომუშავე ქალი, რომელიც თავსაბურს ატარებდა და ამ მიზეზის გამო სამსახურიდან გაანთავისუფლეს, სასამართლომ გაამართლა. ესპანეთის მოქალაქე ანა საიდი როდრიგუეზი, რომელმაც თავსაბურის ტარების გადაწყვეტილება მიიღო, აეროპორტიდან გაანთავისუფლეს. როდრიგუეზმა კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და გაიმარჯვა კიდეც. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ კომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სეკულარიზმის, ნეიტრალიტეტის და ესპანეთის კონსტიტუციის, რომელიც ადამიანის რელიგიურ თავისუფლებას ემხრობა, პრინციპებს ეწინააღმდეგება. სასამართლომ კომპანიას ასევე ქალბატონის სასარგებლოდ 4491 ევროს კომპენსაციის გადახდაც დაავალა.

## ჰარისონ ფორდი ავიაკატასტროფას გადაურჩა



მოყვარული ავიატორი თვითმფრინავის დაშვებისას დასაფრენ ბილიკს ასცდა. ინციდენტი კალიფორნიაში ჯონ უეინის აეროპორტში მოხდა. ფორდის თვითმფრინავს ავიალაინერთან შეჯახებამდე რამდენიმე მეტრი დააკლდა. 74 წლის მსახიობი ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა.

ფორუმის წინ

# ახალგაზრდა მორაგბეთა მსოფლიო თასისთვის სავარჯიშო მოედნები შერჩეულია

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა 2017 წელს ახალგაზრდებს შორის საქართველოში გასამართი რაგბის მსოფლიო თასის ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის შესახებ.**

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა კახა ჭუმბურიძემ, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" გენერალურმა დირექტორმა კორნელი კოკაიამ, „ოლიმპიკის" დირექტორმა კარლო მჭედლიძემ და თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ სულაქველიძე უმცროსმა.

„აღნიშნული ბაზები უკვე მოინახულეს მსოფლიო რაგბის საერთაშორისო ექსპერტებმა. მათ დაადასტურეს, რომ არსებული მოედნები ყველა იმ სტანდარტს აკმაყოფილებს, რაც აუცილებელია მსგავსი ჩემპიონატის მასპინძლობისთვის." — განაცხადა ტარიელ ხეჩიკაშვილმა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე.



მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები გამოხატავენ ნებას, ხელი შეუწყონ 2017 წლის 30 მაისიდან 2017 წლის 19 ივნისის ჩათვლით, საქართველოში გასამართ, რაგბიში მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარებისათვის შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას.

კერძოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, შპს „საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი", შპს „ოლიმპიკი" და შპს „თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემია" უზრუნველყოფენ მათ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სათამაშო მოედნების კავშირისთვის იჯარით გადაცემას. ამ მოედნებს ჩემპიონატის მონაწილე გუნდები საწვრთნელ/საშეჯიბრო პროცესის დროს გამოიყენებენ.

თავის მხრივ, სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს ორგანიზაციების თანამშრომლობას რაგბის კავშირთან. ორგანიზაციების მიერ კავშირისთვის უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებული კონკრეტული პირობები განისაზღვრება ამ ორგანიზაციებსა და კავშირს შორის ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

**ტარიელ ხეჩიკაშვილი:** *„აღნიშნული ბაზები უკვე მოინახულეს მსოფლიო რაგბის საერთაშორისო ექსპერტებმა და მეგობრებმა და დაადასტურეს, რომ ბაზები ყველა იმ სტანდარტს აკმაყოფილებს, რაც აუცილებელია მსგავსი ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. შესაბამისად, კერძო სექტორთან და ფედერაციებთან ერთად ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ და უკვე შეგვიძლია ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად დავგეგმოთ, თუ რომელ სასტუმროში განთავსდებიან სპორტული დელეგაციები. ახლა, სხვადასხვა მნიშვნელოვან საორგანიზაციო საკითხებს განვიხილავთ და მუშაობის ახალ ეტაპზე გადავდივართ.*

*მსურს დიდი მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. ვფიქრობ, რომ ასეთი ერთიანობით არაერთი საერთაშორისო შეჯიბრის მაღალ დონეზე მასპინძლობას შევძლებთ. მსურს ასევე განმარტება გავაკეთო იმ პროექტის შესახებ, რომელიც მომავალში აუცილებლად განხორციელდება და ოცი ახალი სტადიონი აუცილებლად აშენდება, პირველ ეტაპზე 10, ხოლო შემდეგ მომდევნო 10 მოედანი შეემატება ჩვენს ინფრასტრუქტურას.*

*კერძო სექტორის წარმომადგენლები და ყველა ის ადამიანი, ვისაც აქვს სურვილი ქართული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში მიიღოს მონაწილეობა, ამომწურავ ინფორმაციას უახლოეს დღეებში მიიღებს."*

**ვიტალი ჯაფარიძე**

წყალბურთი

# ლიგაზე ბედი არ წყალობთ



**საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები ზედიზედ მეორედ მონაწილეობს მსოფლიო ლიგის ევროპულ ეტაპზე, მაგრამ ჯერ წარმატებას ვერ მიაღწია. 2016-2017 წლების გათამაშებაში ჩვენები „გ" ჯგუფში მოხვდნენ იტალიასა და რუსეთთან ერთად. პირველ წრეში მათ შინ ჩრდილოელ მეზობლებთან მატჩი ერთი ბურთის სხვაობით დათმეს — 13:14, ხოლო იტალიასთან სტუმრად 5:14 წააგეს. ყაზანში მეორე წრის პირველ შეხვედრა გაიმართა. რუსეთის ეროვნულმა გუნდმა ამჯერად აშკარად დაჯაბნა საქართველოს ნაკრები.**

რუსეთი-საქართველო 19:8 (4:2, 6:3, 3:1, 6:2)

**რუსეთი:** ანტონ ანტონოვი, ნიკოლაი ლაზარევი (4), არტიომ ოდინცოვი, ალექსეი რიჟოვ-ალენიჩევი (4), ალექსეი ბუგაიჩუკი (2), არტიომ აშაევი (1), მიხაილ კრასნოვი (2), ივან ნაგაევი (2), იგორ ბიჩკოვი (1), ნიკიტა დერევიანკინი (2), სერგეი ლისუნოვი, რომან შეპელევი (1), ვიქტორ ივანოვი, მწვრთნელები - ვლადიმირ კარაბუტოვი, დმიტრი სტრატანი.

**საქართველო:** ბექა კაპანაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია (2), რევაზ იმნაიშვილი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა (2), გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (3), კონსტანტინე გეგელაშვილი (1), ალექსანდრე რუსიშვილი, ხვიჩა ჯახაია, ნიკოლოზ შუბითიძე, მწვრთნელები - იოვან პოპოვიჩი, ვლადიმერ ისელიძე.

პერიოდების ანგარიშებიდანაც ჩანს, რომ მასპინძლებმა სტუმრებს პირველ რვაწუთიან მონაკვეთშივე წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. დიდი შესვენების შემდეგ იოვან პოპოვიჩმა მეკარე კაპანაძე შუბლაძით შეცვალა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. საქართველოს ნაკრები დიდი სხვაობით - 8:19 დამარცხდა. მსოფლიო ლიგაზე ჩვენი გუნდი ბოლო მატჩს 4 აპრილს გამართავს - თბილისში იტალიას დაუპირისპირდება.

**გივი გაგუა**

ჭადრაკი




# რვა ქართველი და დანარჩენი მსოფლიო

**ირანის დედაქალაქ თეირანში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი ჩაება. ნოკაუტ-სისტემით სულ ექვსი ეტაპი გაიმართება. ფინალამდე თითოეულ წრეში ორ-ორი კლასიკური პარტია გათამაშდება. შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში წყვილში უძლიერესს რაპიდი (25 და 10-წუთიანი პარტიები) და, საჭიროების შემთხვევაში, ბლიცი (5-წუთიანები) გამოავლენს. ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 450.000 დოლარი, რომელიც მოთამაშეებზე ასე განაწილდება: პირველ წრეში დამარცხებულებს 3750 დოლარი შეხვდათ. მომდევნო რაუნდებში გასულთათვის ფულადი ჯილდო იმატებს: II რაუნდი-5500, III-8.000, IV-12.000, ნახევარფინალისტები-20-20 ათასი, მეორეადგილოსანი-30.000 და მსოფლიოს ჩემპიონი — 60.000 დოლარი.**

ტურნირში რვა ქართველმა აიღო სტარტი. პირველი რაუნდის შემდეგ მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს ხუთი მათგანი შემორჩა: სოფიო გვეტაძემ ნინო ბაციაშვილთან წააგო - 0:2, ლელა ჯავახიშვილი ვიეტნამელ ლე ტაო ნგუენ ჰამთან დამარცხდა — 0,5:1,5. მათი ბედი გაიზიარა ბელა ხოტენაშვილმა, ოღონდ ტაიბრეიკებში — ჩვენებურს იტალიის სახელით მოასპარეზე ოლგა ზიმინამ სძლია. ქართველთა დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: ნანა ძაგნიძე-ხალედ მონა (ეგვიპტე) 4:2, სოფიკო გურამიშვილი-სარასადათ ხადემალშარიეხი (ირანი) 2.5:1.5, სალომე მელია-ეკატერინა ატალიკი (თურქეთი) 2.5:1.5, ნინო ხურციძე-ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) 1.5:0.5.

უკვე გაიმართა მეორე ეტაპის პირველი ტურის ორთაბრძოლები. ნანა ძაგნიძემ შავი ფიგურებით სძლია იტალიის სახელით მოასპარეზე ოლგა ზიმინას. წარმატებით ითამაშა სოფიკო გურამიშვილმაც - თეთრი ფიგურებით 48-ე სვლაზე უკრაინელ ნატალია ბუკსას გააჩერებინა საათი. დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ სალომე მელია ყაიმზე შეუთანხმდა მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონ ანტოანეტა სტეფანოვას (ბულგარეთი). ასევე, დაზავდნენ ნინო ბაციაშვილი და ნინო ხურციძე.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# ნახტომიც ამას ჰქვია

**წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. უკვე გაუწყეთ, რომ გასული კვირა წარმატებული აღმოჩნდა საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერ ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის, რომელმაც სოფიის დიდ საერთაშორისო ტურნირში პირველი ასეულის სამ ჩოგბურთელს სძლია და 90 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა, რამაც 87-ე ადგილზე მყოფი თბილისელი სპორტსმენი ერთბაშად 20 საფეხურით წინ წასწია. ეს მისთვის სარეკორდოა, რადგან აქამდე მისი საუკეთესო მაჩვენებელი იყო 86-ე ადგილი (2015 წლის ოქტომბერში). გაგაცნობთ ჩვენებურთა მონაცემებს მსოფლიო კლასიფიკაციაში:**




ქალები

**ერთეულები.** 228 (225). სოფიო შაფათავა (223), 325 (325). ეკატერინე გორგოძე (131), 516 (516). მარიამ ბოლქვაძე (56), 578 (578). სოფიო ქვაცაბაია 943), 846 (846). ოქსანა კალაშნიკოვა (14), 1061 (1061). ანა შანიძე (7).

**წყვილები.** 55 (57). კალაშნიკოვა (1505), 184 (186). შაფათავა (347), 244 (246). გორგოძე (240), 473 (474). ქვაცაბაია 993), 563 (559). ბოლქვაძე (65), 717 (720). თათია მიქაძე (37), 1132 (1132). შანიძე (10), 1284 (1283). ლანა კენჭიაშვილი (3).

ვაჟები

**ერთეულები.** 67 (87). ნიკოლოზ ბასილაშვილი (714), 504 (503). ალექსანდრე მეტრეველი (73), 829 (817). გიორგი ცივაძე (20), 1772 (1771). შოთა მეფარიძე (1), 1772 (1771). ალექსანდრე ბაქში (1), 1772 (1771). ირაკლი მეტრეველი (1).

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# ესაა სიყვარული?!

**წლევანდელი ვალენტინობის დღე შავი ასოებით ჩაიწერება „ბარსელონის" შთამბეჭდავ ბიოგრაფიაში. მართლაც, როგორი საქმეა მარად ამბიციურმა გრანდმა ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური რაუნდი კატასტროფული შედეგით დაასრულოს.**

„პარი სენ-ჟერმენი" — „ბარსელონა" 4:0




(პირველი ტაიმი 2:0)

კატალონიელები სტაბილური თამაშით მთელი სეზონის განმავლობაში ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქში გავარდილ მეხს განსაკუთრებულობას დაცვის ცენტრში გაჩენილი ვაკუუმი ანიჭებს.

დიახ, მას შემდეგ, რაც ლუის ენრიკეს გუნდის ისედაც მოფარღლავებული უკანა ხაზის ბურჯმა მასკერანომ ტრავმა მიიღო, ადვილი სავარაუდო იყო, რომ პარიზში რაღაც მოხდებოდა, მაგრამ ასეთ კოშმარს ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე.

ისე, ნურც მასპინძელთა თავკაცს უნაი ემერის დავუკარგავთ ტაქტიკურ ალღოს, რომელმაც ისეთი სცენარი შეიმუშავა, მესი და კომპანია უბადრუკ კრებულს დაამსგავსა.

ასეა თუ ისე, დიდი ალბათობით, ამ წყვილში თითქმის ყველაფერი გარკვეულია, თუმცა, ვინ იცის?..

„ბენფიკა" — „ბორუსია" 1:0.

**გიორგი შოთაძე**

ამასაც მოუსწარით!..

# იწყება მფრინავი ავტომანქანების გაყიდვა

**ნიდერლანდების კომპანია PAL-მ („Personal Air and Land Vehicle") იწყებს მფრინავი ავტომობილების გაყიდვას. როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა რობერტ დინგემანსემ განაცხადა, PAL-V-მ მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ მოახერხა, შეექმნა მფრინავი ავტომობილი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ასრულებს უსაფრთხოების მოთხოვნებს და საგზაო და საჰაერო ტრანსპორტისთვის მოქმედ წესებს. კომპანიის თანახმად, ესაა მსოფლიო მასშტაბით პირველი სერიულად წარმოებული დასაკეცი ავტომობილი, რომელიც პროპელერითაა აღჭურვილი.**

ბაზარზე ამ ახალი პროდუქტის გამოსვლით ასრულდება ძველი ოცნება. საავტომობილო ხერგილებში გაჭედილ მრავალ მძღოლს უოცნებია გადაადგილების ასეთ საშუალებაზე. მსგავსი პროექტები ჯერ კიდევ 40-იან წლებში არსებობდა აშშ-ში. გამომგონებელმა მოლტონ ტეილორმა ააგო კიდეც მანქანა, რომელიც გარეგნობით თვითფრინავს ჩამოჰგავდა, ჰქონდა მოკლე ფრთები და ოთხი ბორბალი. მას aerocar ეწოდებოდა. არსებობს ძველი კინოკადრები, რომლებზეც აღბეჭდილია, როგორ ჯდება ტეილორი „აერომანქანით" მიწაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მფრინავი მანქანების თემით სერიოზულად იყო დაკავებული საავტომობილო კომპანია „ფორდი". მაგრამ საბოლოოდ პროექტზე უარი თქვეს, ვინაიდან იგი ძალზე დიდ ენერგიას მოიხმარდა. მას შემდეგ იყო მფრინავი ავტომობილის შექმნის სხვადასხვა მცდელობა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოახერხა სერიულ წარმოებამდე მისვლა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ტექნოლოგიის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ოცნების საქმედ ქცევა და სერიული წარმოების დაწყება. სპეციალისტების ნაწილი იმასაც კი ამბობს, რომ



მფრინავი ავტომობილი უფრო შეძლებს ბაზარზე თავის დამკვიდრებას, ვიდრე უმძღოლო ავტომობილი. როგორც „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი" იტყობინება, მფრინავი ავტომობილის თემით უკვე დაინტერესდნენ ისეთი კონცერნები, როგორებიცაა Uber, Google lf Airbus. მაგალითად, Uber-ში ფიქრობენ, რომ დაახლოებით ათი წლის შემდეგ აშშ-ის ყველა დიდ ქალაქში იქნება მფრინავი ტაქსების ქსელი, რომელიც ქალაქგარეთ მცხოვრებ მუშახელს მიიყვანს სამსახურამდე.

PAL-V-ის პროდუქტი არის სამთვლიანი ავტომობილი. მას უკანა ნაწილში დამონტაჟებული აქვს ვერტმფრენის როტორი, რომელიც ბენზინის ძრავაზე მუშაობს. ფაქტობრივად, ესაა მინივერტმფრენი, რომელსაც როტორი ეკეცება და სახურავზე უმაგრდება. იკეცება უკანა ფრთებიც, რაც მანქანის საერთო სიგრძის შემცირების საშუალებას იძლევა. საგზაო მდგომარეობაში მისი სიგრძე ოთხ მეტრამდეა, ანუ ჩვეულებრივი ავტომობილის ზომისაა.

PAL-V-ის თანახმად, ამჟამად ბაზარზე გამოდის მფრინავი ავტომობილის ორი ვარიანტი. ერთის ფასია 499 ათასი ევრო, მეორისა კი – 299 ათასი ევრო. მანქანა ჯერჯერობით ძალზე მცირე რაოდენობით გამოვა: კომპანია 2019 წლამდე ასი მფრინავი ავტომობილის წარმოებას და გაყიდვას გეგმავს.

საავტომობილო გზებზე ამ ორადგილიან ავტომანქანას 170 კმ/სთ-მდე სიჩქარის განვითარება შეუძლია, ჰაერში – უფრო მეტის. მანქანის სამართავად მძღოლს უნდა ჰქონდეს კერძო თვითმფრინავების მართვის უფლება. მანქანის ჰაერში ასაფრენად საჭიროა ოფიციალური აეროდრომი. ანუ პირდაპირ ავტოხერგილიდან ჰაერში აფრენა კვლავაც ოცნებად რჩება.

კომპანია მიიჩნევს, რომ მისი მფრინავი ავტომობილი განსაკუთრებულ დახმარებას გაწევს ისეთ რეგიონებში, სადაც პოლიციელებსა და ექიმებს სამსახურებრივი ამოცანების შესასრულებლად ხშირად უწევთ ხოლმე კუნძულიდან კუნძულზე გადაფრენა.

**ბიძინა რამიშვილი**

# ქართული ღვინის წარმატება იაპონიაში

**12 დასახელების ქართულმა ღვინომ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, საერთაშორისო კონკურსში „საკურა" (**The 4rd „Sakura" Japan Women's Wine Awards




2017) **უმაღლესი ჯილდოები - ერთი „ორმაგი ოქრო", ექვსი – ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა.**

„საკურას" საერთაშორისო კონკურსი მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც წელს მეოთხედ ჩატარდა. კონკურსის ჟიური დაკომპლექტებულია იაპონიაში ღვინის სფეროში მოღვაწე ქალბატონებით – სომელიეებით, ღვინის მწერლებითა და ჟურნალისტებით.

მსგავს ღონისძიებებში წარმატება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას, პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას, არა მარტო იაპონიის, არამედ ზოგადად აზიის ბაზარზე.

სულ კონკურსში 37 ქვეყნის 4212 ღვინო იყო წარდგენილი, დეგუსტაციები გაიმართა მიმდინარე წლის 28 იანვრიდან 1თებერვლის ჩათვლით.

გამარჯვებული ღვინოებია

**ორმაგი ოქრო**

**ვაზიანი კომპანი – საფერავი 2015;**

**ოქრო:**

**ბინეხი – საფერავი 2015;**

**თელავის ღვინის მარანი – კონდოლი საფერავი 2014;**

**თელავის ღვინის მარანი – სატრაპეზო საფერავი 2013;**

**მილდიანი – ქინძმარაული 2014;**

**ვაზიანი კომპანი – ქისი 2015;**

**მეღვინეობა ხარება – საფერავი 2013;**

**ვერცხლი:**

**თელავის ღვინის მარანი – მუკუზანი 2014;**

**მილდიანი – საფერავი რეზერვი 2011;**

**შუმი – საფერავი** BIO **2014;**

**მეღვინეობა ხარება – ქინძმარაული 2014;**

**ბესინი - ბესინი პრემიუმი (წითელი) 2013;**

„საკურას" კონკურსში „ორმაგი ოქროს" ჯილდოს მფლობელი ღვინოები წარდგენილი იქნება 2017 წლის 7 მარტსსაერთაშორისო გამოფენაზე Foodex Japan-ზე, უმაღლესი ჯილდოს – „ბრილიანტის" (Diamond Trophy) მოსაპოვებლად.

# ტრაგედია ვაზისუბანში

**ვაზისუბნის მეოთხე მიკრორაიონში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში 31 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. მასთან ერთად ნაპოვნია 16 წლის მოზარდი, რომელიც უგონო მდგომარეობაშია. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. წინასწარი ინფორმაციით, მომხდარის სავარაუდო მიზეზი ბუნებრივი აირის გაჟონვაა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.**

ჯანმრთელობა

# რაო, ინფექციის არ გვეშინია თუ დოლბანდი არ გვეყო?



**პირველ კოცნას უამრავმა პოეტმა მიუძღვნა არა ერთი რომანტიკული სტრიქონი, მას ასახავდნენ თავიანთ ნაწარმოებებში მოქანდაკეები, მხატვრები, რომანისტები, მუსიკოსები... მაგრამ, ეს პოეტური ფენომენი აინტერესებდათ არა მარტო შემოქმედებს, ასევე მეტად სერიოზულ მეცნიერებსაც, რომლებიც საგულდაგულოდ იკვლევდნენ კოცნის ისტორიას, გეოგრაფიასა და, წარმოიდგინეთ, ფიზიკურ ბუნებასაც კი.**

კოცნის უძველესი „დოკუმენტური მოწმობაა" ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ქალაქის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ბრინჯაოს თასი, რომელზეც ქალ-ვაჟი ვნებიანად კოცნაობს, თუმცა კი, იმ ხანებში ასეთი რამ... სასტიკად აკრძალული იყო.

ძველი სამყაროს ცნობილი ისტორიკოსი პლუტარქე წერს, რომ მოგვიანებით, რომის იმპერიის ხანაში, ქალებს აკრძალული ჰქონდათ ღვინის სმა. ამიტომაც ქეიფის დროს, რომაელი დიდებულები ხშირად „დაეწაფებოდნენ" ხოლმე მეუღლეთა ბაგეებს, ოღონდ არა სასიყვარულო ჟინით შეპყრობილები, არამედ იმის გასაგებად, ჩუმად ხომ არ დალია ქალმა მისთვის აკრძალული ღვინო.

დრო გადიოდა. სენეკა წერს, რომ იბერიაში (თანამედროვე ესპანეთში), კოცნა ოფიციალურ აქტად იყო მიჩნეული: თუკი ვაჟი ქალიშვილს რვა მოწმის თანდასწრებით აკოცებდა, ისინი ცოლ-ქმარი ხდებოდნენ.

კოცნაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ საგულისხმოა, რომ ჩვენს დროში მის გამო განგაში... მედიკოსებმა ატეხეს. თავის დროზე მათ განაცხადეს, რომ კოცნა – ინფექციის გავრცელების მთავარი წყაროა, ამიტომ ეს პროცესი მხოლოდ პირზე დოლბანდის აფარებით უნდა ხდებოდეს. მაგრამ, როგორც ვიცით, კაცთა მოდგმამ ეს რჩევა ყურად არ იღო.

ან იქნებ დოლბანდი არ გვეყო?...

# ათასი სნეულების მკურნალი

**ხახვი და თაფლი სურსათის პირველი ათეულის იმ ჩამონათვალშია, რომლებიც მედიკოსებს განსაკუთრებულად სარგებლიანად მიაჩნიათ.**



ის არა მარტო უგემრიელესი ნუგბარია, არამედ სხვადასხვა ავადმყოფობასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაცაა. თუკი ხახვს შვიდი სნეულების მკურნალს ეძახიან, თაფლი ათასს შველის.

თაფლი, ისევე, როგორც ყველა ძლიერი წამალი, ძვირი ღირს. როგორ უნდა ავარჩიოთ ისეთი პროდუქტი, რომელიც ჭეშმარიტად დიდ სარგებელს მოგვიტანს?

ფუტკრის თაფლის სამკურნალო თვისებებზე რომ ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამკურნალო თვისებები მხოლოდ ხარისხიან პროდუქტს გააჩნია, ასეთი კი მომწიფებული (ისეთი, რომელშიც ფუტკრების ფერმენტებით დამუშავებული ნექტარი სრულადაა გადასული თაფლში) და ეკოლოგიურად დაუბინძურებელ ადგილებში დაგროვილი თაფლია.

არსებობს მოსაზრება, რომ ყველაზე მეტად სარგებლიანია ჩრდილოეთში აღებული თაფლი, რომელსაც ზაფხულის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იღებენ. არადა ეს ასე არ არის – სამხრეთში მეორე ჯერზე აღებული თაფლი პირველი „მოსავლისაზე" ნაკლები არაფრით არ არის. პირველად თაფლი ჟოლოდან, აკაციიდან, სამყურადან აღებული ნექტარიდან დგება და მას იმიტომ იღებენ, რომ ფიჭის ყველა უჯრედი თაფლით ივსება და ფუტკრებს სამუშაო სივრცე აღარ რჩებათ. მეორე მოსავლის თაფლს კი გვიან მოყვავილე მცენარეებიდან (ცაცხვიდან, წიწიბურადან) აღებული ნექტარიდან აგროვებენ. ამ მოსავლის თაფლს განსაკუთრებული გემო და სამკურნალო თვისებები აქვს.

# დააკავეს ინტერპოლით ძებნილი ტერორისტი

თბილისის ინტერპოლმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ტაშკენტის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავა: **„თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საკონტროლო გამშვები პუნქტი „ბათუმის აეროპორტის“ თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ტაშკენტის ინტერპოლის მიერ საერთაშორისო დონეზე ძებნილი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, 1978 წელს დაბადებული ლ.კ. ბათუმის აეროპორტში დააკავეს.**

**ლ.კ. დამნაშავედ არის ცნობილი უზბეკეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 97-2, 155-3 159-3, 242-2, 244 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, რაც ტერორიზმს, კრიმინალური ორგანიზაციის შექმნას, დივერსიული თავდასხმების განხორციელებას და საბრძოლო მასალის უკანონო ჩამორთმევას გულისხმობს.**

**დაკავებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს“,** — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# 25 წელი სახლიდან გაუსვლელად?!

**36 წლის ეგვიპტელი ქალბატონი იმან აჰმათ აბულათი 25 წელია, სახლიდან ვერ გადის. იგი 500 კილოგრამს იწონის და დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეუძლია. ეგვიპტური მედია მას მსოფლიოში ყველაზე მძიმე ქალბატონად მიიჩნევს.**



დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, აბულათის მუმბაის საავადმყოფოში გადასაყვანად. ქალბატონს 10 დღის განმავლობაში ამზადებდნენ ფრენისთვის. გაუკეთდა სპეციალური ნემსები, რომ გადაფრენისთვის გაეძლო. საავადმყოფოში პოლიციის ესკორტმა მიაცილა, ხოლო პალატაში ამწის საშუალებით აიყვანეს.

ახლა მას სპეციალური გამოკვლევები უტარდება. ოპერაცია კი 1 თვის შემდეგ იგეგმება. საავადმყოფო ხარჯებს საკუთარ თავზე იღებს.

36 წლის იმანს სურს, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს და დამოუკიდებლად სიარული შეძლოს.

# PLAYBOY სიშიშვლეს უბრუნდება




**2016 წლიდან ჟურნალმა „PLAYBOY“-იმ გადაწყვიტა, რომ გარეკანზე დედიშობილა ლამაზმანებს აღარ დაბეჭდავდა, მაგრამ როგორც ჟურნალის კრეატიულმა დირექტორმა განაცხადა, ეს დიდი შეცდომა იყო.**

2017 წლის მარტის ნომერში გამომცემლები ისევ დაბეჭდავენ შიშველ მოდელებს. წარწერით „იყო შიშველი — ეს ნორმალურია“. ჟურნალი აგრეთვე გეგმავს მხარი დაუჭიროს იმ აქტივისტებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ ქალებს საზოგადოებაში მკერდის თამამად გამოჩენის ნებართვა დართონ.

ერთი წლის წინათ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ჟურნალის კონცეფციის შეცვლის შესახებ არ გაამართლა. გამომცემლებმა გაზარდეს ფორმატი, ბევრად ხარისხიან ქაღალდზე დაიწყეს ბეჭდვა, მაგრამ ტირაჟი მაინც შემცირდა. ამიტომ ისინი კვლავ თამამ ფოტოებს დაუბრუნდნენ. როგორც ჩანს, აკრძალული ხილი ჯერ ისევ ძალიან გემრიელია.

**მოამზადა**
**რუსუდან ქობულიამ**


# როცა დაავადება უკან იხევს

**ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.**

**ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე:** ***ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.*** **ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.**


# პრობლემები კოსმოსში



**კოსმოსური აპარატების ისტორიაში პირველი შეჯახება დედამიწის ორბიტაზე 2009 წელს მოხდა.**

ექსპლუატაციიდან გამოყვანილმა რუსეთულმა სამხედრო თანამგზავრმა „კოსმოს-2251“-მა „გზა არ დაუთმო“ ამერიკულ „ირიდიუმ-33“-ს.

თეორიულად, მათი ნამსხვრევები არა მარტო სხვა თანამგზავრებს, არამედ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურსაც ემუქრებიან — 2012 წელს მას ინტენსიური მანევრირებაც კი მოუხდა, რათა ერთ-ერთი დიდ ფრაგმენტთან შეჯახებას გადარჩენოდა.

# თამბაქოს მწეველი დედის დანაშაული



**ფეხმძიმობის პერიოდში თამბაქოს მწეველი დედების მიერ გაჩენილ ბავშვებში სამ წლამდე ასაკში უფრო ხშირია თირკმლების დაავადებები იმ პატარებთან შედარებით, რომელთა დედები ორსულობის დროს სიგარეტს არ ეწეოდნენ — ესაა კიოტოს (იაპონია) უნივერსიტეტის სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.**

მკვლევარებმა 44,5 ათასი ბავშვის შარდის სინჯი შეამოწმეს და მათი დედების მიერ თამბაქოს მოწევის შესახებ მონაცემები გააანალიზეს. დედების 4,4 პროცენტი სიგარეტს დაორსულებამდე ეწეოდა, 16,7 პროცენტი კი ამას ფეხმძიმობის დროსაც აგრძელებდა. ორსულობის დროს თამბაქოს მოწევა ბავშვებში პროტეინურიის — შარდში ცილის შემცველობის დონის მატების — ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი აღმოჩნდა. მწეველი დედების ბავშვებში ამ სნეულების განვითარების საფრთხე კი 1,24-ჯერ იზრდება.

# არაჩვეულებრივი გამოფენა



**ფრანგი ხალხის ეროვნული თვითშეგრძნების რამდენიმე უთვალსაჩინოესი ძეგლი, მათ შორის მეფე ლუდოვიკო IX წმინდას მიერ აგებული სენტ-შაპელის გოთური სამლოცველოს ვიტრაჟები, მარტის დამდეგიდან ივნისამდე, მოსკოვის კრემლში დაიდებენ ბინას.**

მსგავსი ტიპის გამოფენები საკმაოდ დიდი იშვიათობაა მსოფლიო პრაქტიკაშიც კი. სენტ-შაპელის ვიტრაჟების გარდა გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება წიგნები, დასურათებული შედევრები და, ყველაზე დიდი განძი — ქრისტეს ვნებათა რელიკვიები. მათ შორის უმთავრესია ქრისტეს ეკლის გვირგვინი, რომელიც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ინახება და, საფრანგეთის ეროვნულ ძეგლთა ცენტრის პრეზიდენტის ფილიპ ბელავალის თქმით, ქვეყნის ტერიტორიიდან ვერ გააქვთ „ეკლესიის მხრიდან პროტესტის თავიდან ასარიდებლად“.

თუმცა კი რელიკვარიუმში — გვირგვინის საგანგებო საცავში — დაცულია ერთ-ერთი ეკალი და გამოფენაზეც სწორედ ის იქნება წარმოდგენილი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული გამოფენა წლეულს ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება.

# სოციალური სტატუსი და იმუნიტეტი



**რაც უფრო მაღალია ამა თუ იმ ჯოგსა თუ გუნდში ინდივიდის სტატუსი, მით უფრო ძლიერია მისი იმუნური სისტემა.**

კანადელმა მეცნიერებმა მაიმუნების იმუნიტეტი შეაფასეს და დაადგინეს, რომ იმუნურ უჯრედთა ოდენობა იერარქიაში ინდივიდის ადგილზეა დამოკიდებული. უფრო დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ცხოველებს იმუნიტეტი უფრო სუსტი აქვთ. ხოლო როგორც კი მაიმუნი იერარქიაში უფრო მაღალ პოზიციაზე ხვდებოდა, მისი იმუნიტეტი ძლიერდებოდა.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6467; ევრო - 2.8100;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2988;
100 რუბლი - 4.6008; თურქული ლირა - 0.7260;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5264;
1000 სომხური დრამი - 5.4436.

**ამინდი 16 თებერვლისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -9, | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -12, | დღე +1 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -3, | დღე +3 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -6, | დღე 0 |
| თბილისი: | ღამე -4, | დღე +3 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge